პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

78

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. | კაკეგ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. ფასდათმობით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 194 (1049) ოთხშაბათი 27 აგვისტო 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 194 (1049)

დღიური

— გადადგა სპარსეთის მთავრობა.
— კალკუტაში (ინდოეთი) გაიმართა ანტი-ინგლისური გამოსვლები.
— პოლონეთში გრძელდება გერმანელების დევნა.
— უნგრეთის მთავრობამ გერმანიას გადასცა ერცბერგერის მკვლელი.
— ინგლისში ფიქრობენ, რომ ირლანდიის საკითხის განხილვას მოჰყვება მაკდონალდის გადადგომა.
— პროფინტერნმა გამოსცა მოწოდება თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბულგარეთში.
— ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე უმრავლესობა პროფინტერნს მიემხრო.

ბინაო მშენებლობისათვის

ჩვენ საბინაო კრიზისის გან-ით, ეს უდავო ფაქტია.

ერიალისტური ომიდან დაწყებული ბოლო დრომდე თითქმის სრულიად შეწყვეტილი იყო სახლების ლობა, კიდევ მეტი: არ სწარმოებდა არსებული შენობების ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი შეკეთება კი.

მძვრებმა აქაც, როგორც სხვა ებშიც, მძიმე მემკვიდრეობა ტოვეს. თავიანთი ბატონობის წლის განმავლობაში მათ თითიც ანძრევიათ ბინებით მუშების ველსაყოფად, საბინაო მშენებლობის გასაჩაღებლად.

ბჭოთა ხელისუფლებამ თავის არსებობის პირველ დღეებიდანვე მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ბინაო საკითხის მოწესრიგებას. ჟუაზიას ჩამოართვა საუკეთესო ლები და შიგ მუშა-მოსამსახურენი ასახლა. აგრეთვე მოახდინა დანარჩენ შენობების შემჭიდროება და მათში ამათ გასაზღვრული პროცენტი ღებით ისევ მუშა-მოსამსახურეთ.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ ყო საკმარისი.

კერძოდ თბილისის საცხოვრებელ ბინების საერთო ტევადობა გაცილებით ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამას გარდა შენობები დაზიანებულია და მოითხოვენ კაპიტალურ რემონტს.

მაშასადამე, საჭიროა ერთი მხრივ ახალი ბინების აგება, მეორე მხრივ ძველების შეკეთება და წესრიგში მოყვანა.

საბჭოთა ხელისუფლება ორივე ამ მიმართულებით ენერგიულად შეუდგა ქმეს.

მეურნეობის აღორძინებამ და ფულის რეფორმამ ბოლო ხანებში საშუალება მოგვცეს ამ დარგშიც დავისახოთ ფართე გეგმები და გავაჩაღოთ მუშაობა.

ქალაქის აღმასკომი აწარმოებს მის მფლობელობაში მყოფ შენობების შეკეთებას.

ხოლო, რაც უმთავრესია, ესაა ახალი სახლების აშენება მუშებისათვის. რომ კერძო მოქალაქეები მოკიდებენ ხელს სახლების მშენებლობას, ამის იმედი ჩვენ ნაკლებად გვაქვს.

საბინაო მშენებლობა უნდა იკისროს თვით სახელმწიფომ, მისმა სამეურნეო ორგანოებმა, ქალაქებმა და თვით მუშებმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბინაო საამშენებლო ამხანაგობები.

გუშინ ჩვენს გაზეთში ცნობა იყო მოთავსებული საამშენებლო კოოპერაციების შესახებ. მათ მიერ ამჟამად შენდება თბილისში 14 სახლი რკინისგზელებისა და ტრამვაის მუშებისათვის; მათი ერთი ნაწილი მოკლე ხანში დამთავრდება.

ეს ჯერ მცირეა, რა თქმა უნდა, მაგრამ მომავალი კოოპერატიულ საბინაო მშენებლობას უეჭველად დიდი აქვს.

მუშათა საბინაო მშენებლობისათვის იქმნება დიდძალი ფონდი.

შრომის კომისარიატთან დაარსებულია ცალკე კომიტეტი მუშათა სახლების კოოპერატიულ მშენებლობისათვის ხელისშესაწყობად. ამ კომიტეტს ევალება: საერთო მეთვალყურეობა მთავრობის იმ დადგენილებათა გატარებაზე, რომელნიც შეეხებიან მუშათა კოოპერატიულ საბინაო მშენებლობის საკითხებს; იმ ღონისძიებათა გამომუშავება, რომელნიც მიმართული არიან მუშების საცხოვრებელ ბინების მშენებლობის განვითარებისაკენ; ტეხნიკურ დახმარების აღმოჩენა მუშათა საამშენებლო კოოპერატივებისათვის მათ პრაქტიკულ მუშაობაში და სხ.

მთავრობის დადგენილებით, ამ კომიტეტს გადაეცემა სპეციალური ფონდები საბინაო მშენებლობისათვის.

ეს ფონდები შესდგებიან: განსაკუთრებულ გადასახადისაგან, რომელიც შეეწერება არამშრომელ ელემენტებს მათ მიერ დაკავებულ ბინებისათვის; ადგილობრივ საბჭოების მიერ საიჯაროდ გაცემულ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების შემოსავლიდან, იჯარის არა ნაკლებ 5 პროც. რაოდენობით. საშემოსავლო გადასახადზე სპეციალურ დამატებიდან, სახელმწიფო მრეწველობის წმინდა მოგების საკმაოდ მნიშვნელოვანი ანარიცხიდან მუშათა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ ფონდისათვის, რომლიდან ნაწილი მოხმარდება მუშების ბინების აღმშენებლობას.

ამგვარად, საბინაო მშენებლობას აქვს მკვიდრი მატერიალური ფუძე. მხოლოდ ეს თანხა სავსებით უნდა იქნას აკრეფილი და მოხმარდეს თავის პირდაპირ დანიშნულებას.

საჭიროა იდეა მუშათა კოოპერატიულ საბინაო მშენებლობის გახდეს პოპულიარული. საბინაო კოოპერაციაში უნდა აქტიურად ჩაებან მუშათა ფართე მასსები. აქ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ პროფკავშირებს.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ მუშების შეკავშირებით საბინაო საამშენებლო ამხანაგობებში და სახელმწიფოს მატერიალური და სხ. სახის დახმარებით შეგვიძლია ბოლო მოუღოთ საბინაო კრიზისს.

ადგილობრივი ბიუჯეტები

I.

მოსახლეობის ცხოვრებას რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე უფრო კარგად ახასიათებს და გვიხატავს ადგილობრივი ბიუჯეტები, რომელნიც უშუალო გვემაა მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მისი კულტურული არსებობისა.

ახალი დებულების საფუძველზე აგებული ადგილობრივი ბიუჯეტები უფრო დეტალურად ეხება მოსახლეობის ცხოვრებას და უფრო შორს სწვდება მისი არსებობის სიღრმეებს.

გაერთიანებულ ადგილობრივ ბიუჯეტს მოსახლეობისათვის რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მეტი მნიშვნელობაც აქვს, რაც ნათელი ხდება ამ ორი ბიუჯეტის ერთი მეორესთან შედარებიდან. საქართველოში ეს შედარება ასეთ სურათს გვაძლევს:

ბიუჯეტი	1923—24 წ.		1924—25 წ.	
			ვარაუდი	
	შემოსავალი	გასავალი	შემოსავალი	გასავალი
	მილიონი მან.		მილიონი მან.	
გაერთიანებული ადგილობრივი—	16,5	17,5	17	18
რესპუბლიკანური *).	4,5	8	4,5	8

ადგილობრივი ბიუჯეტი რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე თითქმის 125 პროც. უფრო დიდია და აგრეთვე გაცილებით უფრო რთული და მნიშვნელოვანი. მართალია—საქართველოს რესპუბლიკანურ ხარჯებში არ შედის სამხედრო ხარჯები, მაგრამ ადგილობრივი ხარჯებიც უკიდურესად შემცირებული და ზოგიერთი მისი მნიშვნელოვანი ხარჯები დღეს სახელმწიფოს ბიუჯეტში შედის, მაგ., ნაწილი სასამართლოს, განათლების მილიციის და სხვა ხარჯების, რომელიც ორ მილიონ მანეთზე მეტია. ამ შესწორებებს თუ მხედველობაში მივიღებთ, ადგილობრივი წლიური ხარჯები აღემატება 20 მილიონ მან. და რესპუბლიკანური კი ყოველ შემთხვევაში 6 მილიონ მანეთს არ აღემატება, ე. ი. რესპუბლიკანური ბიუჯეტი გაერთიანებულ ადგილობრივ ბიუჯეტის 30 პროც. არ გადასცილდება.

ამ მარტივი შედარებიდან აშკარაა, თუ რამდენათ დაინტერესებულია საქართველოს მოსახლეობა ადგილობრივ ბიუჯეტების რიგიანათ შედგენაში, მოწესრიგებაში, მის გაძლიერებაში და საბიუჯეტო პრინციპების მტკიცედ დაცვაში.

აი, ამ ყველასათვის ადვილად გასაგებ და ურყევ დებულებებით ხელმძღვანელობდა საქართველოს ცენტრალური საფინანსო უწყება, როდესაც ის შეუდგა 20 ინსტრუქტორის სასწრაფოდ მომზადებას მაზრებში მისავლინებლად, რათა ადგილობრივი ბიუჯეტები იქნეს დროზე და რიგიანათ შედგენილი.

ადგილობრივი ხარჯთ-აღრიცხვები უნდა იქნეს შედგენილი ერთი წლის ვადით: 1924 წლის პირველ ოქტომბრიდან 1925 წლის 1 ოქტომბრამდე. ამ მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო მასალა გაეგზავნა ავტონომიურ რესპუბლიკებს და აღმასკომებს. მათ მიიღეს (ან დღეს-ხვალ მიიღებენ) დებულება, ინსტრუქციები, წესები, სხვადასხვა განმარტებები და ნომენკლატურები. ამ მასალას თან მიჰყვებიან ინსტრუქტორები, რომელნიც ადგილობრივ ორგანოებს გაუადვილებენ ბიუჯეტის შედგენას. მაგრამ საქართველოს ცენტრალურ საფინანსო უწყების ადგილობრივ ფინანსების განყოფილების შრომა მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ადგილობრივ ორგანოებმა არ გამოიჩინეს შესაფერი ენერგია, ინტენსიური მუშაობის უნარი და საქმიანობაში საჭირო სისტემა და დისციპლინა.

ასეთი მუშაობა ადგილობრივ, რასაკვირველია, უნდა სწარმოებდეს აღმასკომის თავმჯდომარის პირადი ზედამხედველობით და სამფინგანის გამგის და მისი მთავარი თანამშრომლების პირადი და ინტენსიური მონაწილეობით.

ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენა, თანახმად სამფინგანის დებულებისა, სავსებით ევალება სამფინგანის საანგარიშო-სალარო ქვეგანყოფილებას (დებულება, მუხ. 5). სამფინგანს კანონი ავალებს,—ამაშია მისი უმთავრესი დანიშნულება,—მუდამ მზად ჰქონდეს საბუღალტერო წიგნებში ყოველგვარი ანგარიშები და სალაროში ამათი გასამართლებელი მასალა, რომლებზედაც უნდა იქნეს აგებული ადგილობრივი ბიუჯეტი. თუ სამფინგანი სწორად აწარმოებს თავის წიგნებს და თუ მას საბიუჯეტო წესები შეთვისებული აქვს, ბიუჯეტის შედგენა მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამფინგანთან მივლინებაში იმყოფება ინსტრუქტორი, რომელსაც დებულება და ინსტრუქციები შესწავლილი აქვს.

ამნაირად აშკარაა, თუ აღმასკომი მთელი თავის ძალებით ენერგიულ და სისტემატიურ მუშაობას აწარმოებს და გამოიყენებს მასთან მივლინებაში მყოფ ინსტრუქტორს, საქართველოს საფინანსო ცენტრალური უწყებაში ორ-სამ კვირაში დაგროვდება ყველა მაზრებიდან ყოველგვარი ადგილობრივი ბიუჯეტები, და მაშინ მომავალ საბიუჯეტო წლის თავიდან ადგილობრივი ცხოვრება ნორმალურ და მტკიცე კალაპოტში ჩადგება.

დ. თ.

---

*) აქ, რასაკვირველია, არ შედის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 75 პროც (უდრის დაახლოვებით—3,4 მილ. მან.) არაპირდაპირ გადასახადის 100 პროც. (დაახლოვებით უდრის 3,7 მილ. მან.) და ბაჟების (тамож. пошл.) 100 პროც. (ნორმალურ პირობებში შეადგენდა რამოდენიმე მილიონ მანეთს.) ეს წყაროები ფედერაციას ეკუთვნის. ამნაირად რესპუბლიკის ბიუჯეტში არ შედის დაახლოვებით 7 მილ. მანეთი პლიუს ბაჟებიდან შემოსავალი.

შენიშვნები

ჩვენი გაზეთის გავრცელებისათვის

როგორც ყოველ თვის მიწურულში, ისე ეხლაც უკვე დაიწყო ხელმოწერა ჩვენს გაზეთზე—ახალი თვისათვის, კარზე მომდგარ სექტემბრისათვის.

ზაფხულის თვეებში გაზეთის ტირაჟი ჩვეულებრივ კლებულობს. ქალაქებიდან ხალხი ამ დროს აგარაკებსა და სოფლებში გადის და უფრო სხვა „გასართობებს“ ეტანება, ვინემ გაზეთის კითხვას. ამასთან იქ გაძნელებულია გაზეთის წესიერად და თავის დროზე მიღება.

ზაფხულის პაპანაქებაც თავის თავად ნაკლებად უწყობს ხელს ყოველგვარი სახის გონებრივ მუშაობას (სხვათა შორის, გაზეთის კითხვასაც).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზაფხულის პერიოდში „კომუნისტი“-ს ტირაჟი ოდნავაც არ შემცირებულა, პირიქით, რამოდენიმედ კიდეც გაიზარდა.

ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად მუდმივი და საიმედო მკითხველი ჰყავს ჩვენს გაზეთს.

შემოდგომაზე გაზეთის ტირაჟი ბუნებრივად გაიზრდება.

ზედმეტია იმის თქმა, რომ „კომუნისტი“ არ არის ჩვეული თვითრეკლამას, ყოველ გზა-ჯვარედინზე თავის თავზე ძახილს. ასეთი „მეთოდი“ მასსის ყურადღების მიპყრობის და გაზეთის გავრცელებისა მან გადაჭრით უარყო იმ თავითვე.

„კომუნისტს“ ამ ორი თვის წინეთ გამართულ თავის იუბილეს დღესაც (1000 №-ის გამოსვლის გამო) „არ შეუნძრავს მთა და ბარი“; ეს იუბილე იყო მხოლოდ წარსული, სამ წელიწად ნახევრის მუშაობის უბრალო აღნუსხვა.

„კომუნისტი“ არ ახვევს მკითხველს თავის თავს არც პარტიულ და პროფესიონალურ დისციპლინის წესით.

„კომუნისტზე“ ხელმოწერა, მისი შეძენა სავსებით ნებაყოფლობითია.

ჩვენი გაზეთის გავრცელების გზა იყო და არის მისი შინაარსის უფრო გამდიდრება, ტეხნიკის უფრო გაუმჯობესება, მიწოდების საქმის უკეთ მოგვარება,—ამ მხრივ მკითხველი მასსის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

და მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „კომუნისტმა“ თავისით გაიკვლია გზა მუშურ-გლეხურ მკითხველთა ფართე მასსისაკენ.

მის ამოცანას შეადგენდა შეეთავსებინა პარტიის ხელმძღვანელ სერიოზული ბეჭდვითი ორგანოსათვის საჭირო თვისებები მასსიურ გაზეთის თავისებურობასთან. „კომუნისტი“ ამ გეზს ატარებს შეძლებისდაგვარად. იგი იქცა მასსიურ გაზეთად. დღეს, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, „კომუნისტი“-ს ტირაჟი უდრის 13.500-ს,—ციფრი, რომელიც არ ახსოვს არც ერთ ქართულ გაზეთს.

ამ მხრივ მიღწეული შედეგი უეჭველად დიდია, მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, ვერ დავკმაყოფილდებით.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „კომუნისტი“-ს იუბილეის დღეს შემდეგი ლოზუნგი წამოაყენა: „ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა წევრებს: გაზეთი „კომუნისტი“ კიდევ უფრო უნდა დაუახლოვოთ მასსებს, უფრო მჭიდროდ უნდა დავაკავშიროთ ის მასსებთან. გაზეთის ტირაჟი—13.000 ცალი, რომლისთვისაც არ მიუღწევია ჯერ არც ერთ ქართულ გაზეთს,—გადიდებული უნდა იქნეს ყოველ შემთხვევაში ორჯერ. **ჩვენმა პარტიამ უნდა ჩაატაროს ეს კამპანია. ჩვენი ლოზუნგი უახლოესი დროისათვის უნდა იყოს ტირაჟი—25.000 ცალი“.**

უნდა ითქვას, რომ ამ ლოზუნგის განსახორციელებლად ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერი გაკეთებულა.

როგორც აქამდეც, შემდეგშიც ჩვენი გაზეთის გამოწერა-გავრცელების საქმეში რაიმე იძულების ნიშანწყალს არ უნდა ჰქონდეს ადგილი:

ჩვენ ვლაპარაკობთ გაზეთის გასავრცელებლად მხოლოდ საავიტაციო კამპანიის და ორგანიზაციულ მუშაობის საჭიროებაზე.

ამ საქმეს ამთავითვე უნდა შეუდგნენ ადგილობრივი ორგანიზაციები, პარტიის თითეული წევრი, აგრეთვე გაზეთის კორესპონდენტები.

ამ შემოდგომაზე, ყოველ შემთხვევაში მომავალი წლის 1 იანვრისათვის „კომუნისტი“-ს ტირაჟმა უნდა მიაღწიოს 25.000 ცალს.

ეს არც ისე ძნელი ამოცანაა. გაზეთის მკითხველთა მასსა საქართველოში შედარებით საკმაოა. გაზეთი იაფია და მისი შეძენა არ გაუჭირდება ხელმოკლე მუშასა და გლეხსაც.

ოღონდ საჭიროა ჩვენი გაზეთის გამოწერის მნიშვნელობის განმარტება და თვით ხელმოწერის საქმის რიგიანად მოწყობა.

ადგილობრივ ორგანიზაციების და ამხანაგების მოვალეობაა ამ მხრივ მიიღონ ყოველგვარი ზომები.

მათი საერთო მუშაობის შეფასების საზომად ისიც უნდა იყოს, თუ რამდენი ცალი „კომუნისტი“ ვრცელდება მათ სამოქმედო რაიონში.

გ. ქ.

წითელ რიგებს შეუერთდენ

ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობის კონფერენცია

ლონდონი. 25 აგვისტო. კვირას დამთავრდა ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობის კონფერენცია, რომელზედაც ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების შექმნის, პროფესიონალურ საბჭოების ბრძოლის ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებად გადაქცევის და ყოველგვარ რწმუნებულებათა პროფკავშირების კონგრესის გენერალურ საბჭოსათვის გადაცემის შესახებ. პოლლიტმა წარადგინა რეზოლიუცია უმცირესობის მოძრაობის ორგანიზაციის შესახებ. ამ მოძრაობის გეგმა შემდეგია: ინგლისის მუშათა მასების დარაზმვა კაპიტალიზმის დამხობის და სოციალისტურ წესწყობილების დამყარების მიზნით, ფართო აგიტაციის და პროპაგანდის წარმოება კლასთა ბრძოლის რევოლიუციონურ პრინციპებისათვის, არსებულ მუშათა ორგანიზაციებს შორის ბრძოლის წარმოება უმცირესობის პროგრამის გატარების მიზნით, აგიტაციის წარმოება „სოციალურ მშვიდობიანობის, კლასთა თანამშრომლობის და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გზით გადასვლის წინააღმდეგ“, უახლოესი კავშირის დაჭერა პროფინტერნთან და მუშაობის წარმოება საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოთ. **პროგრამა მხარს უჭერს ყველა მუშების ერთიან ფრონტს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ყოველდღიურ ბრძოლის დროს.**

დადგენილების თანახმად, ყოველწლიურად კონფერენცია ირჩევს აღმასკომს, რომელიც წარმოადგენ მთავარმმართველ და ხელმძღვანელ ორგანოს კონფერენციის მოწვევამდე. აღმასკომი დანიშნავს სპეციალურ ორგანიზატორებს მემაღაროეთა, მელითონეთა და ტრანსპორტის მუშათა დასარაზმავად, ამასთანავე სპეციალური ფონდი ამ მუშაობისათვის შეკრებილი იქნება მუშათა პროფკავშირებში. დარაზმულ მემარცხენე უმცირესობის ოფიციალურ წარმომადგენლად იქნება კომიტეტის მდივანი. **მემარცხენე უმრავლესობა დანიშნავს თავის დელეგატებს პროფინტერნის კონგრესებზე.**

პროგრამა მიღებული იქნა მქუხარე ტაშისცემით. **კონფერენციამ მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია დოუესის გეგმის წინააღმდეგ და რეზოლიუციები უმუშევართა მოძრაობის გაერთიანების და პროფმოძრაობაში ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ.** აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა **ტომ მანნი.**

აღმასკომის პირველ სხდომაზე გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა პოლლიტი, საორგანიზაციო მდივნად—გარდი. პოლლიტი, გარდი, უოტკინსი, კველჩი და ტომ განნინგტონი არჩეული იქნენ აღმასკომის სპეციალურ განყოფილებაში, რომელიც ხელმძღვანელობს მუშაობას ტრანსპორტის მუშათა შორის. კონფერენციაზე სიტყვები წარმოსთქვეს მოძმე კავშირების დელეგატებმა: ლარკინმა (ირლანდია), ბუკმა (კანადა), მიულლერი (ჩეხო-სლოვაკია).

გერმანიის გაყვლეფა დაადასტურეს

საფრანგეთის პალატამ მოიწონა ერრიოს პოლიტიკა

გერმანიის რეიხსტაგს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება

გერმანელი ნაციონალისტები მოითხოვენ მთავრობის გადადგომას; მოსალოდნელია რეიხსტაგის გაშვება

კამათი დეპუტატთა პალატაში

ერრიოს პასუხი

გამოარჩიეა ლევოკრატიასთან.

პარიზი, 24 აგვისტო. იმ ორატორების საპასუხოდ, რომლებმაც სიტყვა წარმოსთქვეს ლონდონის შეთანხმების გამო, ერრიომ განაცხადა, რომ ის აუცილებლად სთვლის მოკავშირეების და გერმანიის დაახლოებას, მაგრამ რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტები, საჭიროა მოისპოს გერმანიის მილიტარიზმი. ამას დახმარება უნდა გაუწიოს გერმანიის დემოკრატიამ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება მძიმე პასუხისმგებლობა მოსალოდნელ შედეგებისთვის. საფრანგეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის დელეგაციის მონაწილეობას სარეპარაციო კომისიაში. ერრიომ აღნიშნა, რომ ნატურით მიწოდების საკითხებზე სარეპარაციო გადასახადების განაწილების დროს საშუალებას მისცემს გერმანიას ხელახლა დაიკავოს თავისი ადგილი ევროპაში.

ერრიოს მიერ ლონდონში გადადგმულ ნაბიჯების შემდეგ მაკდონალდი გამოვიდა განცხადებით მოკავშირეთა ვალების შესახებ კონფერენციის დამთავრების დროს.

რა უნდა მიიღოს საფრანგეთმა.

აღნიშნა რა საფრანგეთსა და გერმანიის შორის უშუალო კომერციულ მოლაპარაკების მნიშვნელობა, ერრიომ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომელიც ამტკიცებს, რომ საფრანგეთმა უნდა მიიღოს პირველი წლიური სარეპარაციო გადასახადი 200 მილიონი ოქროს მარკა. რათა მშვიდობიანობა გაუდეს მშვიდობიანობას, იგი უნდა იყოს ეკონომიური, ფინანსიური და სავაჭრო მშვიდობიანობა. ეჭვს გარეშე, რომ, საჭიროებისდამიხედვით, საფრანგეთი გამოიჩენდა არა ნაკლებ ენერგიას და გამბედაობას, ვიდრე ომის დროს, მაგრამ მას ესაჭიროება დღეს მოსვენება და საერთო მშვიდობიანობა. ერრიო სთხოვს პალატას დაამტკიცოს ლონდონის შეთანხმება, ვინაიდან მოჰყვება რეალური, საგრძნობი შედეგები ნაცვლად წინანდელი სასოწარკვეთილებისა.

„ბრძნული“ საქმე.

„ლონდონის შეთანხმებაო“—განაცხადა ერრიომ,—არის ბრძნული საქმე, რომელიც იძლევა მშვიდობიანობის პირველ იმედს და ანახლებს მოკავშირეთა ურთიერთობას“.

კამათი

ყოფილმა მინისტრმა კლოტცმა განაცხადა, რომ ის ხმას მისცემს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ზოგიერთი შენიშვნებით.

პუანკარეს მინისტრები ულოცავენ ერრიოს.

პუანკარეს მთავრობის ყოფილი მინისტრი ლე-ტროკე ულოცავს ერრიოს მიღწევებს ნახშირის მიწოდების საკითხში, მაგრამ აცხადებს, რომ საერთაშორისო ფინანსები 4 წლის განმავლობაში იმყოფება სტინესის ჯგუფის ზეგავლენის ქვეშ,—სტინესი კი ცდილობს ხელი შეუშალოს კოქსის მიწოდებას საფრანგეთისათვის.

პუანკარეს ყოფილმა მინისტრმა ლუშერმა განაცხადა, რომ მისი ჯგუფი ხმას მისცემს ნდობის გამოცხადებას, ვინაიდან ფიქრობს ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად დამაკმაყოფილებლად იქნება გადაჭრილი სარეპარაციო საკითხი. ლუშერმა აღნიშნა, რომ ინგლისის მუშათა პარტიამ დაიკისრა ფორმალური ვალდებულებანი მოკავშირეთა ვალების საკითხში. საფრანგეთის სოციალისტებს უნდა მოეგონებიათ მისთვის ეს ვალდებულებანი.

„არ შეიძლებაო სთქვა ლუშერმა,—რომ საფრანგეთი თავის კეთილსინდისიერების გამო ყინულზე გაცურებული დარჩეს“.

სოციალ-გამყიდველები მილიტარისტებს მიჰყვებიან.

სოციალისტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა **პოლ ბონკურმა**, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პარტია ხმას მისცემს ნდობის გამოცხადებას. ვინაიდან მთავრობამ მოახერხა შექმნა ისეთი სულიერი განწყობილება, რომლის დროსაც საფრანგეთს შეუძლია მიმართოს ევროპას მოწოდებით, რათა გერმანიის შეიარაღებულ ძალებზე დაწესებულ იქნას კანტროლი ერთა ლიგის საშუალებით.

რევოლიუციონური სიტყვა.

კომუნისტების სახელით **დორიომ** წაიკითხა დეკლარაცია, რომელიც ამტკიცებს, რომ ომის შემდეგ დადებულ საზავო ხელშეკრულებებში ჩამარხულია ახალ ომების ჩანასახი. დორიო სასტიკად ჰკიცხავდა ლონდონის კონფერენციას იმისათვის, რომ მან არ გადასინჯა არც ერთი ხელშეკრულება. ის ბრალს სდებდა გერმანელ დემოკრატებს იმაში, რომ ისინი დახმარებას უწევენ გერმანელ ნაციონალისტებს ემზადონ „სარევანშო ომისათვის“ საფრანგეთის წინააღმდეგ. სასტიკად გააკრიტიკა დორიომ საფრანგეთის სოციალისტები და საფრანგეთის მთავრობა ბანკირებისათვის ძალა-უფლების მინიჭებისათვის. ერრიოს შენიშვნაზე, რომ საბჭოთა მთავრობაც აგრეთვე მიმართავს სესხსო, დორიომ უპასუხა: **„ის არ ჰყიდის საბჭოთა რესპუბლიკებს ბანკირებზეო“.**

დორიო ბრალს სდებდა პარლამენტის უმრავლესობას იმაში, რომ მან მოატყუა ხალხთა მასები მოჩვენებითი მშვიდობიანობის მოყვარეობით.

ნდობა მთავრობას

პარლამენტმა მიიღო ფორმულა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. ფორმულა წარადგინა **სოციალისტმა ბლიუმმა**, რომელმაც მიულოცა მთავრობას ისეთი მიღწევა, რომ „ლონდონის კონფერენციამ მიიღო სამედიატორო წესით განხილვა, რამაც საშუალება მისცა მას პრაქტიკული და მშვიდობიანობის მომასწავებელი გადაწყვეტილებანი გამოეტანა სარეპარაციო საკითხში საერთაშორისო თანამშრომლობის და შეთანხმების საფუძვლებზე“. ფორმულა გამოსთქვამს რწმენას, რომ მოკავშირეთა მომავალ კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს მოკავშირეთა ვალებს, და ერთა ლიგაში მთავრობა განაგრძობს თავის „მუშაობას მშვიდობიანობის და სამართლიანობის სასარგებლოთ, რაც უზრუნველყოფს საფრანგეთის უშიშროებას და ევროპის აღდგენას“.

ფორმულა იწონებს მთავრობის დეკლარაციას ლონდონის კონფერენციის შედეგების შესახებ.

ერრიო სტყუის?

ნაუენი. 26 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფ“-ის ბრიუსელელ კორესპონდენტის ცნობით, ბელგიის საზოგადოებრივი აზრი პროტესტს აცხადებს **ლონდონის კონფერენციაზე ბელგიის როლის ისე დახასიათების წინააღმდეგ, როგორც ეს ჩაიდინა ერრიომ. კორესპოდენტი ამბობს:**

„მანამდე, სანამ ერრიო ოპოზიციაში იყო პუანკარეს მთავრობის მიმართ, ის ყოველთვის აშკარა მოწინააღმდეგე იყო რურის ოკუპაციის; თვით თავისი საარჩევნო **პროგრამა მან ააგო სავსებით რურის დაცლის დაპირებაზე.**

ეხლა კი, ბელგიის საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ერრიო იცავს იმ თვალსაზრისს, რომ სამხედრო ევაკუაცია შესაძლებელია მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გერმანია მოგვცემს იმის საბუთს, რომ მზად არის გაატაროს ცხოვრებაში ექსპერტთა გეგმა, და ამასთან **ერთად აცხადებს, რომ თითქოს ამასვე დაჟინებით მოითხოვდეს ბელგიაც“.**

დაპყრობილ ოლქებში

დორტმუნდის ევაკუაცია.

ნაუენი. 26 აგვისტო. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობების თანახმად დორტმუნდის ევაკუაცია დაიწყება სექტემბრის პირველ რიცხვებში.

რურის ეკონომიური ევაკუაცია.

საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკება.

ნაუენი. 26 აგვისტო. ახლო მომავალში დიუსელდორფში დაიწყება საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკება; მოლაპარაკების დროს განხილული იქნება ის ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია ლონდონის შეთანხმებაში გათვალისწინებულ რურის ეკონომიური ევაკუაციის გატარებასთან.

ერრიო ელზას-ლოტარინგიის შესახებ.

ნაუენი. 26 აგვისტო. პარიზიდან მიღებული ცნობით, ერრიო ახლო მომავალში პირადად გაეცნობა ელზას-ლოტარინგიის მდგომარეობას. მას განზრახული აქვს ადგილობრივ გამოარკვიოს საკითხი ამ მხარეში გერმანიის კანონმდებლობის საფრანგეთის კანონმდებლობით შეცვლის შესახებ.

კონტროლი გერმანიაზე

ნაუენი. 26 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, გერმანიაში ექსპერტთა გეგმის მიხედვით დაწესებული იქნება შემდეგი საკონტროლო პოსტები: გენერალური აგენტურა რეპარაციების შესახებ, რომლის სათავეში იქნება ამერიკელი, საბანკო კომისია ჰოლანდიელის მეთაურობით, საფრანგეთის კომისარი რკინისგზებზე, ყველა შეუტანელ გადასახადების საქმეებისათვის დანიშნული იქნება მთავარი კომისარი—ინგლისელი, კომისარი სარკინისგზო ვალდებულებათა შესახებ—იტალიელი, კომისარი სამრეწველო ვალდებულებათა შესახებ—ბელგიელი.

გერმანიის სესხის საკითხი

ნაუენი. 26 აგვისტო. „ობსერვერ“-ის ცნობით, ამერიკის ფინანსიური წრეები გულგრილად უცქერიან გერმანიისათვის სესხის მიცემის საკითხს. გაზეთის სიტყვით, ასეთი დამოკიდებულება აიხსნება რურის ოკუპაციის გაგრძელებით. **ბანკირები მოითხოვენ, რომ სესხი უზრუნველყონ საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებმა.**

ნაუენი. 26 აგვისტო. ლონდონიდან მიღებული ცნობით, რობერტ ხორნი აგიტაციას აწარმოებს გერმანიის სესხის ინგლისში განაწილების წინააღმდეგ.

რაიხსტაგი „შეთანხმების“ შესახებ

მარქსის სიტყვა

თავის „ნაშრომს“ აქებს

ბერლინი. 24 აგვისტო. რეიხსტაგის სხდომაზე რეიხსკანცლერმა მარქსმა ლონდონის მოლაპარაკება ძალიან დიდ პროგრესად ჩასთვალა შედარებით დღემდის არსებულ მდგომარეობასთან. მარქსი ილაშქრებს „ყველაფერი ან არაფერი“-ს პოლიტიკის წინააღმდეგ.

ლონდონის კონფერენციაზე, მარქსის აზრით, პირველად ომის შემდეგ გამოჩენილ იქნა შერიგების სერიოზული სურვილი. თავისი ჯიუტობით გერმანია ხელახლა გამოვიდოდა საყოველთაო მშვიდობიანობის დამრღვეველის როლში. საფრანგეთის დათმობა რურის სამხედრო ნაწილობრივ ევაკუაციის საკითხში, ლონდონის ხელშეკრულების ხელის მოწერისთანავე ანთავისუფლებს 900,000 გერმანელს უცხოეთის მართვა-გამგეობისაგან. გერმანიის მთავრობის ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება რურის ევაკუაციის შესახებ არ მიაჩნია საბოლოოდ და იმედი აქვს, რომ მიაღწევს რურის სრულ ევაკუაციას.

აშინებს რეიხსტაგს

მარქსი აღნიშნავს, რომ რეიხსტაგის მიერ **ლონდონის შეთანხმების** უარყოფას მოჰყვება მძიმე **შედეგები** გერმანიის შინაურ და საგარეო პოლიტიკისათვის.

ოპოზიციის პროტესტი.

მარქსს სიტყვას აწყვეტინებდენ კომუნისტები და ნაციონალისტები. ხანდახან სულ არ ისმოდა მისი სიტყვები. განსაკუთრებით ირონიული რეპლიკებით შეხვდა ოპოზიცია მარქსის სიტყვებს გერმანიის ეროვნულ ღირსების და გერმანიის სუვერენიტეტის შესახებ. მარქსის ტრიბუნიდან ჩამოსვლას აღშფოთების ხმებით შეხვდენ მემარცხენე და მემარჯვენე პარტიები, ხოლო მქუხარე ტაშით—მთავრობის პარტიები და სოციალ-დემოკრატები.

ლიუტერის სიტყვა

ლონდონის დელეგაციის წევრმა, ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა განაცხადა, რომ გერმანიას არავითარ შემთხვევაში აღარ შეუძლია დარჩეს დღევანდელ პირობებში. **უმუშევრობა გერმანიის ტერიტორიაზე ივნისის თვიდან გაიზარდა 210,000-დან 328,000 კაცამდე.** ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა ცოტაოდნად გაუმჯობესდა. მთავრობას შეუძლია გასცეს ავანსები საგარეო სესხის მოლოდინში, თუ ლონდონის შეთანხმება იქნება მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსიური მდგომარეობა ერთბაშად გაუარესდება. მიმდინარე შემოსავალი მცირდება, ხოლო ხარჯები იზრდება. კრედიტების საჭიროება არაჩვეულებრივად იზრდება. **ლიუტერი ემუქრება აგრარიებს, რომ თუ ლონდონის შეთანხმება იქნა უარყოფილი, მთავრობა უარს ეტყვის მემამულეებს რეიხსბანკში გადასახადების შეტანის ვადის გაგრძელებაზე.**

გაუცრუვდებათ იმედები აგრეთვე სოფლის მეურნეებს, რომელთაც სურთ გარდაქმნან სარენტო ბანკი მემამულეთა საკრედიტო დაწესებულებათ.

მემამულეების წარმომადგენლების საერთო ხმაურობის და პროტესტების დროს ლიუტერი წინასწარმეტყველებს სარენტო მარკის კურსის დაცემას, იმ შემთხვევაში, თუ ლონდონის ხელშეკრულება უარჰყვეს.

შტრეზემანის სიტყვა

გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა გერმანიის დელეგაციის „ბრწყინვალე დამსახურებას“, რადგან მან შესძლო ლონდონის კონფერენციაზე დაეყენებია საკითხი რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ. დაუყოვნებელი ევაკუაცია მიუწვდომელი იყო ომის შემდეგ, რაც ერრიომ ვერ მიაღწია, ვერც მოკავშირეთა ვალების საკითხის მოწესრიგებას, ვერც გერმანიის მხრივ სავაჭრო პოლიტიკურ დათმობათა მიღებას.

შტრეზემანი უარყოფს, თითქოს საფრანგეთსა და გერმანიის დელეგაციას შორის დადებული იყოს საიდუმლო სავაჭრო ხელშეკრულება. ბრძოლა რურის სამხედრო ევაკუაციის დაჩქარებისათვის ლონდონის კონფერენციაზე კი არ დასრულებულა არამედ ეხლა იწყება. დეკემბრის შუა რიცხვებში მოსალოდნელია მოკავშირეთა კონფერენცია 10 იანვრისათვის კელნის ზონის ევაკუაციის საკითხის გადასაჭრელად.

იმედებით კვება.

თუ ლონდონის შეთანხმება იქნა მიღებული, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ რურის ოკუპაციაც აღარ გაგრძელდება 10 იანვრის შემდეგ.

შემდეგ შტრეზემანმა აღნიშნა ლონდონში მიღწეული შეთანხმება ფრანგების მიერ ჩამორთმეულ მაღაროების და რკინისგზის ხაზების დაბრუნების შესახებ და სარეპარაციო კომისიის შემადგენლობის და მისი რწმუნებათა ცვლილება, რაც ფრიად სასურველია გერმანიისათვის.

შტრეზემანს რამდენჯერმე აწყვეტინებდენ სიტყვას ოვაციებით უმრავლესობის პარტიები და დამსწრე საზოგადოება. კომუნისტები და ტევტონელები შტრეზემანის უკანასკნელ სიტყვებს დაცინვის ხმებით შეხვდენ, ნაციონალისტები კი მშვიდათ.

„პოლიტიკური ფარსი“

რუთ ფიშერი ექსპერტთა გეგმის შესახებ

ლონდონი. 26 აგვისტო. რეიხსტაგის გუშინდელ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა რეიხსტაგის კომუნისტი დეპუტატი ქალი რუთ ფიშერი, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა ექსპერტთა გეგმა. მან განაცხადა, რომ ამ გეგმის წინააღმდეგ გამოდის თვით ამერიკა, ყოველ შემთხვევაში, მისი საზოგადოების „დემოკრატიული“ ნაწილი, რუთ ფიშერმა მოხსენებას უწოდა **უდიდესი პოლიტიკური ფარსი. ფიშერის ამ სიტყვებს ტაშისცემით შეხვდენ მემარცხენეები.** მემარჯვენეები და ნაციონალისტების ნაწილი ირონიული სიცილით შეხვდენ ამ სიტყვას, ცენტრი და სოციალისტები—დაცინვით.

მთავრობას ემუქრებიან

ნაციონალისტ. მოითხოვენ მთავრობის გადადგომას

ბერლინი. 24 აგვისტო. ნაციონალისტების პარტიის ნაციონალური ბიულეტენი **მოითხოვს მარქსის მთავრობის გადადგომას** ლონდონის მოლაპარაკების უშედეგოთ დამთავრების გამო; ბიულეტენი აყენებს ლოზუნგს: **„ახალი მოლაპარაკება ახალ ხალხთან“.**

ბიულეტენი სწერს: „ოპოზიცია საკმაოდ ძლიერად გრძნობს თავს და მას შეუძლია იკისროს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პასუხისმგებლობა, დაიწყოს ახალი მოლაპარაკება ანტანტასთან და მიაღწიოს უკეთეს შედეგებს“.

ნახევრად ნაციონალისტურ და ნახევრად ტევტონურ „სამშობლოს კავშირთა“ სხდომაზე ნაციონალისტ ვესტარპის მოხსენების გამო მიღებულია რეზოლიუცია ლონდონის შეთანხმების წინააღმდეგ; რეზოლიუცია მოითხოვს რეიხსტაგის გაშვებას, ახალი არჩევნების მოხდენას და რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევას.

უკანასკნელი ცნობები

ბრძოლა „შეთანხმების“ გარშემო გერმანიაში

საბოლოო დადგენილებას ხუთშაბათს გამოიტანენ.

ბერლინი. 26 აგვისტო. გუშინ რეიხსტაგში პირველი წაკითხვით მიღებული იქმნენ კანონპროექტები დოუესის გეგმის მიხედვით. მეორე წაკითხვა მოხდება დღეს. საბოლოო კენჭის ყრა მოხდება, ალბათ, ხუთშაბათს, როცა, ლიბერალური გაზეთების ცნობით, კანცლერი გაუშვებს რეიხსტაგს, თუ ვერ მიიღო ხმების ორი მესამედი.

მოკავშირეების პირობების მიღებას მოითხოვენ.

ბერლინი. 26 აგვისტო. რეიხსტაგი იღებს მრავალ დეპეშებს ლონდონის „შეთანხმების“ მიღების მოთხოვნით. ესენის სავაჭრო პალატამ სათანადო მოთხოვნით მიმართა კანცლერ მარქსს და ნაციონალისტებს. თვით დაპყრობილ ოლქების ნაციონალისტებიც კი მოითხოვენ დოუესის გეგმის მიღებას.

რეიხსტაგს არ ეკითხებიან.

ბერლინი. 26 აგვისტო. ნაციონალისტების თავდასხმებზე საპასუხოთ კანცლერმა მარქსმა აშკარად განაცხადა რეიხსტაგში, რომ შაბათს, 30 აგვისტოს, ლონდონის ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება გერმანიის ელჩის მიერ ლონდონში, რადგან შეთანხმება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს გერმანულ სამშობლოს განთავისუფლების საქმეში.

პუანკარე არ ცხრება

ბერლინი, 26 აგვისტო. პუანკარე დღეს საფრანგეთის სენატში, როგორც ოპოზიციის მთავარი ორატორი გახსნის კამათს ლონდონის ხელშეკრულების გარშემო.

გრიგალი

ბერლინი, 26 აგვიტსო. არაჩვეულებრივათ ძლიერმა გრიგალმა გადაიარა ინგლისზე და აუარებელი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას. განსაკუთრებით დაზარალდა სომერსეტის რაიონი.

ლოზანას ხელშეკრულების დამტკიცება

პარიზი, 26 აგვისტო. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა ლოზანას ხელშეკრულება.

ნაციონალისტების პოზიცია

ნაციონალისტების გამოსვლა.

ნაუენი. 26 აგვისტო. რეიხსტაგში გამართულ კამათის დროს ნაციონალისტების ლიდერმა გერგტმა გალაშქრა ლონდონის შეთანხმების წინააღმდეგ და წინადადება მისცა მთავრობას განაახლოს სეპარატიული მოლაპარაკება საფრანგეთთან რურის ევაკუაციის შესახებ არა უგვიანეს 1925 წლის 10 იანვრისა.

ნაციონალისტების ლიდერების თათბირი.

მანჰეიმი. 26 აგვისტო. გერმანიის ნაციონალისტური პარტიის ოფიციალურ ცნობაში ლიდერთა თათბირის შედეგების შესახებ ნათქვამია, რომ ლიდერები ექსპერტთა გეგმის მიღების თუ უარყოფის საკითხს უკავშირებენ როგორც ეხლანდელ მდგომარეობას დაკავებულ ოლქებში, ისე ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

გერგტის განცხადებას, რომ ნაციონალისტებს დარჩენიათ მხოლოდ უარყონ ლონდონის შეთანხმება, მოჰყვა ხმები: „მაშასადამე, ნაციონალისტები უარს ამბობენ რეფერენდუმზედაც“? ამაზე გერგტმა უპასუხა, რომ ნაციონალისტების ოპოზიცია, ალბად, გამოიწვევს ახალ უშუალო მოლაპარაკებას დაინტერესებულ სახელმწიფოებთან, რასაც შედეგად მოჰყვება ზოგიერთი ცვლილებების შეტანა ლონდონის შეთანხმებაში, მათ შორის რურის ოკუპაციის ვადის შემცირებაც.

კენჭის ყრის წინ

ნაციონალისტების ფრაქციის გადაწყვეტილება

ლონდონი. 26 აგვისტო „ბერლინერ მონტაგ პოსტ“-ის ცნობით, ნაციონალისტებს შორის მოხდა განხეთქილება. ტირპიცის, რეიხსტაგის თავმჯდომარე ვალრაფის და ნაციონალისტების ახალი ლიდერის ლიუნელსდორფის გავლენით ნაციონალისტების ფრაქციამ გადასწყვიტა არ იქონიოს არავითარი ზეგავლენა პარტიის წევრებზე რეიხსტაგში კენჭის ყრის დროს.

მოლაპარაკება ნაციონალისტებთან

„ჯილდო“ ნაციონალისტებს

ნაუენი. 26 აგვისტო. გერმანიის მთავრობა განაგრძობს მოლაპარაკებას ნაციონალისტებთან, რომელთა მიმხრობა აუცილებელია მისთვის იმ მიზნით, რომ მიიღოს ხმების ორი მესამედი რეიხსტაგში სარეპარაციო კანონპროექტებისათვის კენჭის ყრის დროს. შესაძლებელია ნაციონალისტების შესვლა მთავრობაში. ეს იქნება ნაციონალისტებისათვის ერთგვარი კომპენსაცია კანონპროექტების მიღებისათვის. მაგრამ ცენტრის პარტიები ფიქრობენ, რომ ნაციონალისტების შესვლა მთავრობაში ვერ გადასჭრის საკითხს.

რეიხსტაგის გაშვების წინ

მთავრობის კამპანია

ლონდონი. 26 აგვისტო. გუშინდელი დღის განმავლობაში რეიხსტაგის კულუარებში გრძელდებოდა მდგომარეობის განხილვა. დღემდე არავითარი დადებითი შედეგი არ არის მიღწეული. არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთიც, რომ რეიხსტაგი გაშვებული იქნება. მეორე მხრით, შეუძლებელიც არ არის რეიხსტაგის გაშვება მით უფრო, რომ მთავრობა აწარმოებს ამ მიმართულებით გაძლიერებულ აგიტაციას.

„სოციალისტებს“ რის იმედი აქვთ?

სოციალისტების უმრავლესობა მოითხოვს რეიხსტაგის გაშვებას და ფიქრობს, რომ ახალ არჩევნებს მოჰყვება რეიხსტაგის შემადგენლობის შეცვლა იმ მხრით, რომ ნაციონალისტებს და სხვა მთავრობის მოწინააღმდეგე ჯგუფებს ახალ რეიხსტაგში უფრო ნაკლები ხმა ექნებათ, ვინემ ეხლა და ამრიგად მთავრობას სრული საშუალება ექნება გაატაროს სათანადო კანონპროექტები.

ცენტრის პარტიებს ეშინიათ.

ცენტრის პარტიებს ძლიერ ეშინიათ რეიხსტაგის გაშვების, რადგანაც ფიქრობენ, რომ ეს ფაქტი ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივ აზრზე მოკავშირეთა ქვეყნებში და გამოიწვევს იმას, რომ გერმანია დაჰკარგავს იმ „სარგებელს“, რომელსაც ანიჭებს მას ლონდონის შეთანხმება.

ვაჭარ-სპეკულიანტებს რა ენაღვლება

ბერლინი, 24 აგვისტო. „გერმანიის მრეწველობის საიმპერიო კავშირმა“ ასი ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ სამისა, მიიღო რეზოლუცია ლონდონის შეთანხმების სასარგებლოთ. ნაციონალისტ-მრეწველებმა, რეინ-ვესტფალის მრეწველობის ყველა [illegible] მომადგენლებმა და საიმპერიო ეკონომიურმა თათბირმა გადასწყვიტეს აგრეთვე მიიღონ ლონდონის ხელშეკრულება. ბავარიის პრემიერმა გელდმა მხარი დაუჭირა ლონდონის ხელშეკრულების მიღებას, „მიუხედავად სერიოზული საშიშროებისა“ და მოითხოვა ყველა პარტიებისაგან უარი სთქვან თავიანთ პარტიულ პოლიტიკურ თვალსაზრისზე.

ახალი არჩევნების ეშინიათ

ბერლინი, 24 აგვისტო. სტინესის „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“ აფრთხილებს ნაციონალისტებს ახალი არჩევნების დანიშვნისაგან. მთავრობის პარტიებს სოციალ-დემოკრატებთან ერთად აკლიათ 46 ხმა ხმების ორი მესამედის მისაღებად. გაზეთის აზრით, ცენტრის პარტიები და სოციალ-დემოკრატები შესძლებენ ამ ხმების მიღებას ახალი არჩევნებით, რურის ოლქში სოციალ-დემოკრატებს ექნებათ უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა, ვინემ კომუნისტებს. ამიტომ ნაციონალისტების მიერ დოუესის გეგმის უარყოფა გაკაფავს გზას ლონდონის შეთანხმების უფრო ადვილად განხორციელებისათვის. გაზეთი მოითხოვს, რომ ნაციონალისტების ფრაქციამ მისცეს თავის წევრებს ხმის მიცემის თავისუფლება; გაზეთი მოითხოვს აგრეთვე სარკინიგზო კანონის მიღებას.

პასუხს გაურბიან

ბერლინი. 24 აგვისტო. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიაში კომუნისტების წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვდენ მთავრობის თვალსაზრისის გამორკვევას საყოველთაო პოლიტიკურ ამნისტიის საკითხში. შტრეზემანმა უარყო შეკითხვა და განაცხადა, რომ კომუნისტური ფრაქცია ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს დოუესის გეგმის წინააღმდეგ და მოითხოვს, რათა მთავრობამ წინასწარ შეიკრას ხელ-ფეხი დაპირებით, შტრეზემანის სიტყვით, მთავრობა განიხილავს ამნისტიის საკითხს ლონდონის შეთანხმების მიღების შემდეგ.

ყვითლების წინააღმდეგ

სამთომადნო მრეწველობის მუშათა მოწოდება

მოსკოვი. 26 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სამთომადნო მუშათა ცეკამ, მოისმინა რა მოხსენება პრაღაში გამართულ სამთომადნო მუშათა საერთაშორისო კონგრესის მუშაობის შესახებ, მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აცნობებს საბჭოთა კავშირის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოების სამთომადნო მუშებს იმ მოღალატურ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც იცავს სამთომადნო მუშათა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც შესდგა პრაღაში. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ის კონგრესი უთანხმდება მუშათა მთავრობის ყველა მტრებს, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას, ინგლისს და საერთაშორისო კაპიტალისტებს, რომლებიც მოითხოვენ სარეპარაციო გადასახადებს გერმანიისაგან; კონგრესი უარს ამბობს შეთანხმებულ მუშაობაზე როგორც რუსეთის, ისე სხვა ქვეყნის რევოლიუციონურ სამთომადნო მუშებთან.

საბჭოთა კავშირის სამთომადნო მუშათა ცეკას იმედი აქვს, რომ ყველა ქვეყნის სამთომადნო მუშები მხარს დაუჭერენ საბჭოთა კავშირის სამთომადნო მუშებს მთელი მსოფლიოს მუშების მთლიანობის აღდგენის საქმეში.

ფაშისტების თარეში

რომი, 14 აგვისტო. „ყოფილ ჯარისკაცთა კავშირის“ ცენტრალურმა კომიტეტმა, ფაშისტების მიერ ნეაპოლში კავშირის ერთ-ერთი წევრის დაჭრის გამო მოსთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს საქმის გამოძიება და დამნაშავების დასჯა. „ყოფილ ჯარისკაცთა კავშირის“ ცეკამ დაშალა კავშირის ორგანიზაცია ქალაქ ტერნში, რადგანაც მას განზრახული ჰქონდა მანიფესტაციის გამართვა მუსოლინისათვის თანაგრძნობის გამოცხადების ნიშნად.

ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ფაშისტურ პრესას კვლავ უკიდურესი კილო დაეტყო. ემყარებოდა რა ოპოზიციის ბელადის ამენდოლის ფრაზაზე, რომ „ოპოზიციისათვის სულერთია კაპიტულიაცია ფაშიზმის წინაშე თუ სიცოცხლის გაწირვა“, უკიდურესი მემარჯვენე ფაშისტი ფარინაჩი სწერდა; „ოპოზიცია მოითხოვს ფაშიზმის განიარაღებას, მთავრობა რჩება ხელისუფლების სათავეში, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, მას არ სურს ხელის აღება ფაშისტური რევოლიუციის მონაპოვარზე. ამენდოლას სურს ბრძოლა ფაშისტურ რეჟიმთან,—მაშ ვიბრძოლოთ! გამარჯვებულები უკარნახებენ თავის სურვილებს დამარცხებულებს. ჩვენს მტრებად ჩვენ ჩავთვლით ყველა მათ, ვინც ბოროტად სპეკულიაციას ეწეოდა ჩვენს წინააღმდეგ მატეოტის მოკვლის გარშემო, თუნდაც ისინი იყვნენ ყოფილი ფაშისტები ან მთავრობის ყოფილი მომხრეები“.

მუსოლინი თავის წერილში, რომელიც შეეხება კონფლიქტის მოგვარებას ფაშისტებსა და ლიბერალებს შორის ფლორენციის ქალაქის სამმართველოში, სწერს, რომ თანამშრომლობა ლიბერალებს და ფაშისტებს შორის ყოველთვის სასურველია, ვინაიდან ის არის „სიბრძნის და სიმწიფის შეერთება ახალგაზრდობის ენტუზიაზმთან“.

ფაშისტური „მესაჯერო“ და „ტრიბუნა“ ამის გამო დიდი ზეიმით აღნიშნავენ, რომ მათ ყოველთვის ჰქონდათ იმის იმედი, რომ მუსოლინი გადავიდოდა „კანონიერების აღდგენის გზაზე“. ფაშისტური „ჯორნალე დ-იტალია“ აცხადებს, რომ მიუხედავად ყოველ გვარი სურვილისა ფრაზების დასაჯერებლად, ფილოფაშისტებმა უნდა დაუცადონ ფაქტებს.

„პოპოლო“ შესაძლებლად სთვლის შეთანხმებას ლიბერალებს და ფაშისტებს შორის, თუ ლიბერალები ხელს შეუწყობენ იმას, რომ მატეოტის საქმე არ იქცეს ფაშიზმის საწინააღმდეგო პროცესად.

სხვა და სხვა ამბები

— **უპირთ.** გერმანიის მთავრობა დღევანდლამდის აწარმოებს მოლაპარაკებას ნაციონალისტებთან ლონდონის ხელშეკრულების მიღების შესახებ. მოელიან რეფერენდუმს (ხალხის დაკითხვას).

— **შემდეგისათვის.** ამერიკის, პრეზიდენტმა კულიჯმა განაცხადა, რომ პირველ რიგში მოგვარებულ უნდა იქნას კონტრიბუციის საკითხი, ხოლო შემდეგ კი—საერთო განიარაღების.

— **მუშების გამარჯვება.** გავრის (საფრანგეთშია) გემთა საამშენებლო კამპანიამ ჯამაგირი მოუმატა მუშებს და მეზღვაურებს, რის შემდეგ მეზღვაურთა შრომის ფედერაციამ გადასწყვიტა დაიწყოს მუშაობა.

— **თავს ბატონად გრძნობენ.** სპარსეთის მთავრობასთან არსებულმა ამერიკელ „მრჩეველთა“ საბჭოს თავმჯდომარემ მილსპომ მოსთხოვა სპარსეთის მთავრობას. „მრჩეველ“ მოველის განთავისუფლება, მავოლმა გაფლანგა სახელმწიფო ფულები, რისთვისაც სპარსეთის მთავრობამ ის დააპატიმრა.

— **კაბინეტის რეორგანიზაცია.** გადადგენ სპარსეთის კაბინეტის ყველა მინისტრები, გარდა საგარეო საქმეთა მინისტრისა.

— **ახალი არჩევნები ინგლისში.** ინგლისში ფიქრობენ, რომ ირლანდიის საკითხის განხილვას მოყვება მაკდონალდის კაბინეტის გადადგომა. კონსერვატორების აზრით ახალი არჩევნები დანიშნული იქნება ამ წლის დამლევს.

— **ვარშავა—ლონდონი.** გაიხსნა საჰაერო მიმოსვლა ლონდონ-ვარშავას შორის.

— **ამერიკა ვალს მოითხოვს.** პარიზში ჩავიდა ამერიკის ფინანსთა მინისტრი მელონი, რომელმაც საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკებით უნდა მოაგვაროს ვალის გადახდის საკითხი.

— **ერცბერგერის მკვლელის გაცემა.** უნგრეთის მთავრობა დასთანხმდა გადასცეს გერმანიის მთავრობას ერცბერგერის მკვლელი გენრიხ ფერსტერი.

— **გერმანელების დევნა.** პოლონეთში გრძელდება გერმანელების დევნა. ბრომბერგში (ზემო-სილეზია) ადმინისტრაციამ აკრძალა გერმანელ მომღერალთა საზოგადოების კრება.

— **ახალი კონფერენცია.** იტალიის მთავრობამ ყოფ. ავსტრია-უნგრეთის იმპერიიდან გამოყოფილი სახელმწიფოები მოიწვია კონფერენციაზე რომში. კონფერენცია შესდგება შემოდგომაზე.

— **საფოსტო ყრილობის დადგენილება.** საერთაშორისო საფოსტო კონგრესმა სტოკჰოლმში დაადგინა ოქტომბრიდან 50 პროც. შემცირება საფოსტო ამანათების გადაგზავნის ფასი.

— **მაროკოში.** ესპანეთის ჯარების შტაბის ცნობით მდგომარეობა მაროკოში „უცვლელია“.

— **ინგლისის წინააღმდეგ.** კალკუტიდან (ინდოეთი) მიღებული ცნობებით, იქ გაიმართა ანტი-ინგლისური გამოსვლები. პოლიციამ ესროლა ხალხს. შეტაკების დროს დაიჭრა 20 პოლიციელი.

პროფინტერნში

პროფინტერნის აღმასკომის მოწოდება

ტერორის წინააღმდეგ ბულგარეთში

მოსკოვი. 26 აგვისტო. პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო მსოფლიოს ყველა მუშებისადმი მიმართვაში აღნიშნავს, რომ ბულგარეთში გამეფებულია ტერორი და მუშათა პროფკავშირების დევნა, რომ ბულგარეთის მთავრობამ აკრძალა კომპარტია, კომკავშირი, ბულგარეთის პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანება და მუშათა კოოპერაცია. ცანკოვის მთავრობამ შეიარაღებული ძალით ჩაახშო მუშების ყოველგვარი აქტივობა. მიმართვა ხაზს უსვამს, რომ ბულგარეთის მუშებს, რომლებიც ყოველთვის შეძლებისდაგვარად უწევდენ დახმარებას სხვა ქვეყნების ჩაგრულ ძმებს, უფლება აქვთ იმედი იქონიონ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ამხანაგურ დახმარებისა.

აღმასრულებელი ბიურო მოუწოდებს ყველა ქვეყნების მუშებს აღიმაღლონ საპროტესტო ხმა ბულგარეთის რეაქციონერების სისხლისმღვრელ რეჟიმის წინააღმდეგ, გამართონ საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები, მატერიალური დახმარება გაუწიონ მრავალტანჯულ ბულგარელ ამხანაგებს და მოითხოვონ ცანკოვის მთავრობის სიმხეცის მოსპობა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

სრულიად რუსეთის ცაკის სესია—5 ოქტომბერს.

მოსკოვი, 26 აგვისტო. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გადაიტანოს სრულიად რუსეთის ცაკის სესია 5 ოქტომბრისათვის. დამატების სახით დღის წესრიგში შეტანილია საბჭოთა რუსეთის გამასწორებელ—შრომის კოდექსის პროექტი, თურქესტანის რესპუბლიკის საკითხები და საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულება.

ყრილობა განათლების და ტრანსპორტის შესახებ.

მოსკოვი. 26 აგვსტო. 10 სექტემბერს მოსკოვში გაიხსნება სრულიად საკავშირო ყრილობა განათლების და ტრანსპორტის შესახებ.

ჩვენი პურის მარაგი

მოსკოვი. 26 აგვისტო. სრულიად საკავშირო თათბირზე პურის დამზადების საკითხის შესახებ გამოირკვა, რომ პურის საერთო მოსავალი წელს 10 პროც. ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. ზედმეტი პური მთელს საბჭოთა კავშირში შეადგენს 460 მილ. ფუთს. გეგმის მიხედვით სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ფინანსებს აწოდებს სახელმწიფო, უნდა დაამზადონ 400 მილიონი ფუთი პური.

1.200,000 მანეთი საბინაო აღმშენებლობისათვის.

მოსკოვი, 25 აგვისტო. **მაისიდან ივნისამდე საბინაო გადასახადის სახით საბინაო აღმშენებლობის ფონდის შესაქმნელად მოსკოვის ფინანსთა განყოფილებამ მიიღო დაახლოვებით 1,200,000 მანეთი.**

ემილიან პუგაჩევის აჯანყებიდან 150 წლის თავისათვის გამოცემული იქნება მასალები, რომელიც ამ აჯანყების ხანას ეხება. სხვათა შორის ეს მასალები დღემდის არ ყოფილა გამოქვეყნებული და ძალიან მცირედაა გამოყენებული ისტორიკოსების მიერ. მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს მასალები რუსეთის გლეხთა 1825—1862 წ. წ. აჯანყების შესახებ.

ბრმების შესახებ.

მოსკოვი, 25 აგვისტო. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა განმარტა, რომ დაბადებიდან ბრმები პენსიების მიღების მხრივ გაუთანასწორდებიან ომის და შრომის ინვალიდებს.

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და [illegible] ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. 3 თვით—1 მან. 80 კაპ. 4 თვით—2 მან. 40 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში (ბინაზე მიტანით)

1 თვით		85 კაპ.
2 „	1 მან.	60 „
3 „	2 „	40 „
წლის ბოლომდი	3 „	10 „

პროვინციაში (გაგზავნით)

1 თვით		95 კაპ.
2 „	1 მან.	80 „
3 „	2 „	70 „
წლის ბოლომდე	3 „	50 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“

პარტიული ცხოვრება

27 აგვისტოს, დილის 9 საათზე
დანიშნულია
საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა
ნაცვლად 26 აგვისტოს დანიშნულ სხდომისა
თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
თბ. კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

მუშაობა ქალთა შორის ბათომში

19 აგვისტოს, სალამოს 6 საათზე საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა კლუბში მოხდა მუშა დელეგატ ქალთა მორიგი საზოგადო კრება. კრებას დიდძალი მუშა-ქალები დაესწრენ. კრებას თავმჯდომარეობდა ქალთა განყ. გამგის მოადგილე ამხ. ვლასტოპულო, მდივნობდა ამხ. ქს. სვანიძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მე-20-ე საუბარი, 1, 2, 3 ინტერნაციონალის ისტორია და საერთაშორისო ქალთა მოძრაობა აღმოსავლეთში.

პირველად მოხსენება გააკეთა რუსულ ენაზე ამხ. გეიტეი-ტიაგომ. მომხსენებელმა თავისი მოხსენება დაიწყო კლასისა და პარტიის გარჩევით, შემდეგ გადავიდა პირველ, მეორე, მესამე ინტერნაციონალის ისტორიაზე და დახასიათებაზე.

შემდეგ ამხანაგი შეხო ქალთა მოძრაობის ისტორიას და ვრცლად ილაპარაკა ამ საკითხზე. უკანასკნელათ დაახასიათა ქალთა რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში.

ქართულ ენაზე მოხსენება გააკეთა ამხ. პ. მიქაძემ.

მოხსენებებიდან კრება ძლიერ კმაყოფილი დარჩა და სთხოვეს კრების თავმჯდომარეს, რათა ხშირად გაკეთებიათ მათთვის ასეთი მოხსენებები.

კრება ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა ღამის ცხრა საათზე.

ქ.

ახალქალაქის რაიპარტკომის მუშაობა

22 აგვისტოს იყო მოწვეული ახალქალაქის კომუჯრედის ღია სხდომა, რომელსაც დაესწრენ კომუჯრედის, ახ. კ. კავშირის წევრები და რამდენიმე მუშა-მოსამსახურე. დღის წესრიგში იდგა ორი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: 1. საჰაერო ფლოტის გაძლიერების და მისი საზოგადოების წევრობის შესახებ. 2. ადვოკატურის შესახებ.

საჰაერო ფლოტის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს რაიპარტკომის 3 | მგ. მდივანი ეპიფანე სიამაიშვილი; ის აღნიშნავს იმ დიდ ნაკლს, რომ დღემდე ახალქალაქის რაიონი იყო გაჩერებული და არ გამოხმაურებია ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს: ის მკაფიოთ უხსნის დღევანდელ ხანაში საჰაერო ფლოტის მნიშვნელობას.

ამხ. სიამაიშვილი მოუწოდებს ყველა ამხანაგებს, რათა ისინი საჩქაროდ გახდენ ამ საზოგადოების წევრი, ით მისცენ საშუალება და გაამაგრონ ჩვენი საჰაერო საზოგადოება:

ბოლოს ერთხმად იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომელშიაც ამხანაგები აღნიშნავენ, რომ აუცილებლათ უნდა გახდენ ამ საზოგადოების წევრები და შეიტანონ თავიანთი წვლილი. ერთხმათ იქნა ამორჩეული ამის მომგვარებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. ნიკო დალაქიშვილი, 2. ბაგრატ გოზალოვი და ოთა თარხნიშვილი, რომლებსაც დაევალათ ამ საქმის საჩქაროთ და-[illegible]. მათ 2 დღეში კიდეც შეასრულეს ეს საქმე და საკმაო თანხაც შეაგროვეს წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ*).

ადვოკატურის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხანაგი. ის აცნობს კრებას ა.-ფ. 30 ივლისის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმის სხდომის დადგენილებას და უხსნის—დღევანდელ ხანაში თუ რას წარმოადგენენ ის ძველი ჩინოვნიკები რომლებიც თავიანთი ცბიერი ენით ხანდახან ტყავს აძრობენ ჩვენს ღარიბ გლეხობას. კრებამ მიიღო ერთხმად რეზოლიუცია, რომელშიაც არის აღნიშნული ჩვენი სასამართლოებიდან ძველი ადვოკატების განდევნის აუცილებლობა.

ვანო ბახტაძე.

---

*) რედაქციამ მიიღო შემომწირველთა სია. რედ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი

(საქონლის საფონდო ბირჟის ოფიციალური ცნობა)

26 აგვისტო

ოქროს მომგებიანი სესხის მანეთიანი—1 მ.
გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—8 მ. 73 კ.
„ „ ჩეკი—8 მ. 55 კ.
დოლარი ეფექტივი—1 მ. 94 ნახ. კ.
„ ჩეკები—1 მ. 85 ნახ. კ.
ოსმალური ქაღ. ლირა—1 მ.
იტალ. ლირა (100 ც.)—8 მ.

მატყლის და სხვა ნედლეულის დასამზადებლად

მატყლის ბაზარმა მთელ საბჭოთა კავშირში ამ უკავასკნელ წლებში განიცადა დიდი ცვლილება, რასაც მოჰყვა თვით შალეულობის მრეწველობის ხასიათის გამოცვლაც. მერინოსის ცხვრის ჯიშის შემცირებამ გაადიდა მოთხოვნილება მატყლის ნახევრად მოუხეშავ ხარისხზე.

ამიერ-კავკასიის მეცხვარეობას, რომელიც უმთავრესად სწორეთ ასეთი ხარისხის მატყლს იძლევა და რომელსაც მთელს საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი უჭირავს ღირსების მხრივ, მთელ საბჭოთა კავშირში შალეულობის მრეწველობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა.

სახელმწიფო და კოოპერატიულ დამზადებელ ორგანიზაციების ბაზარზე გამოსვლა, მოითხოვს მუშაობის სისტემასა, გეგმაშეწონილობას და იმ თვისებათა გამორკვევას, რომელიც აქვს ჩვენს ნედლეულს. მატყლის ღირსების გამორკვევა, მისი ნაკლულოვანების აღნიშვნა, ჩვენი მატყლის ტიპიური ნიმუშების საზღვარგარეთის გაუმჯობესებული ჯიშის მატყლის ნიმუშებთან შედარება,—საშუალებას მოგვცემს მუშაობა ვაწარმოოთ ადგილობრივი მეცხვარეობის გასაუმჯობესებლად.

ა.-კ. შინა ვაჭრობის სახ. კომის. სამრეწველო ნედლეულის განყოფილებამ გაითვალისწინა რა მატყლის ტიპიური ნიმუშების შერჩევის და სტანდარტული ე. ი. ნიმუშების ერთგვაროვანი შესაფერი ასორტიმენტების დაწესების დიდი მნიშვნელობა, წამოაყენა საკითხი მატყლეულის სტანდარტიზაციის შესახებ.

ამ მიზნით ამორჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც მონაწილეობენ ა.-კ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისრები. კომისიას უფლება აქვს მინიჭებული ურთიერთობა იქონიოს მოსკოვთან სტანდარტული ნიმუშების გაცვლა-გამოცვლის საწარმოებლად კომისიას შეუძლია აგრეთვე კავშირი დაიჭიროს ევროპასთან იმ მიზნით, რომ გაეცნოს უცხოეთის ბაზრის მოთხოვნილებას და მიიღოს იქიდან მატყლის სტანდარტიზაციის ნიმუშები. კომისიას ევალება ამ საკითხის გარშემო აღძრულ კითხვების დამუშავება.

ამ სპეციალური ამოცანის გარდა კომისიას ევალება ითავოს ა.-კავ. სხვა ნედლეულობის (თამბაქოს, ჯაგრის, მატყლის და სხვ.) სტანდარტიზაციის საკითხის მოგვარება.

სამრეწველო ნედლეულობის გაუმჯობესების აზრით, სტანდარტულ ნიმუშების დაწესებას მათი საბაზრო მნიშვნელობის გამორკვევის გარდა მოჰყვება მათი ტეხნიკური თვისებათა მეცნიერული შესწავლაც.

ამ ამოცანის შესასრულებლად კომისიამ უნდა დაამუშავოს საკითხი სპეციალურ-სამეცნიერო ტეხნიკურ ლაბორატორიის მოწყობის შესახებ. ლაბარატორიის დანიშნულება იქნება ნედლეულობის ყოველი სახის გამორკვევა, როგორც ტეხნიკური თვისებათა თვალსაზრისით, აგრეთვე ნედლეულში ქიმიურ თვისებათა გამორკვევის მხრივ, რასაც ბაზრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

დასათვალიერებლად და გამოსაყენებლად ადვილად მისაწვდომი ნიმუშების შესანახად, შინა ვაჭრობის სახ. კომ. განზრახული აქვს მოაწყოს პატარა მუზეუმი სამრეწველო და საექსპორტო ნედლეულისთვის.

სასოფლო მეურნეობა

აგრონომიული დახმარება აჭარისტანში

აჭარისტანის მიწადმოქ. სახ. კომისარიატმა გააძლიერა მოსახლეობის აგრონომიული დახმარება იმ მხრივ, რომ საგრძნობლად გადიდა აგრონომთა რიცხვი. მაზრებში მუდმივად მუშაობს ორი აგრონომი, რომელნიც ხელმძღვანელობენ სასოფლო-მეურნეობის მუშაობას 5 მაზრაში. სპეციალისტების მთელი რაზმი მოსახლეობას აძლევს დარიგებას სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, როგორც მაგალითად მეფუტკრეობაში, სუბტროპიკულ მცენარეთა განვითარებაში, შეველეობაში ინსტრუქტორთა დიდი ნაკლებობაა. და მებაღეობის დარგში, რაც აუცილებლად გავლენას ახდენს კულტურის ამ დარგზე.

ხარჯ-აღრიცხვა აგრონომიულ დახმარებისათვის მიწ. მოქ. სახ.-კომის მიერ შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წელს 5—ჯერ იქნა გადიდებული (შარშანდელი 6 ათასი მანეთის ნაცვლად, წრეულს გადადებულია 30 ათასი). მუშაობა სწარმოებს მიწ კომისაგან გამომუშავებული თანახმად.

მოსავალი ყველა კულტურა სალოდნელია საშუალო.

მეფუტკრეობა.

აჭარლებმა მიმდინარე წელს ინტენსიური მუშაობა დაიწყ ფუტკრეობის დარგში.

მთელს აჭარისტანში მიმდინარე მოწყობილია 34 საჩვენებელი სადგური. (გასულ წელს იყო ყველა სკები მოწყობილია ბლატის სისტემის მიხედვით ლიც თანდათან დევნის ხმარ მამაპაპურ ბუკებს. სკის ს ქსელი თანდათან ფართ ქამად ეწყობა ხულოში, აჭარის ლზე და სხვაგან). მიმდინარე ბუკიდან ჩარჩოიან სკაში გადაყვანილი იქნა 180 ფუტკრის ოჯახი, ხოლო შარშან 150.

ყველგან სწარმოებს ფუტკრის მავნებლებთან ბრძოლა.

მდ. ტყვიბულა და მისი გამოყენებ

შესაძლებლობანი

(ინჟ. პროფ. ნ. მ. ბერნაცკის გამოკვლევა)

ინჟ. პროფ. ბერნაცკი, რომელმაც რუსეთში პირველად იხმარა წყლის ხარჯის გამოკვლევის ქიმიური მეთოდი და რომელიც არის ავტორი მდინარის გრაფიკული ჰიდრავლიკის, გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატიდან გამოგზავნილი იქნა საქართველოში მდ. ტყვიბულას შესასწავლად და იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება ამ მდინარეზე აგება დიდი ჰიდროელსადგურის, რომლის ენერგიაც უნდა მოხმარდეს საუღელტეხილო რკინის გზის ელექტროფიკაციას.

ინჟ. ბერნაცკიმ დაამთავრა თავისი მუშაობა, რომლის შესახებაც მან ჩვენს თანამშრომელს თავისი აზრი გაუზიარა.

მდ. ტყვიბულა, რომელიც ნაქერალას მთის კალთებიდან მომდინარეობს, ქრება სოფელ ახალსოფლის რაიონში მდებარე ნაპრალში. შემდეგ იგი კვლავ გამოდის მდინარე ძევრულას სახელწოდებით მისი ნაპრალში ჩაშვების ადგილიდან 300 მეტრის ქვევით.

ასეთი იშვიათი მოვლენა შესაძლებლობას იძლევა დაიდგას ერთი საინტერესო და იაფი ჰიდროელსადგური, რომლისთვისაც საჭირო იქნება წყალთსაცავის მოწყობა. გამორკვევამ აღმოაჩინა, რომ ტყვიბულის წყალში ურევია 25 პროცენტი ნაკადი მდ. შავი წყლისა.

სად უერთდება მდ. ტყვიბულას ამ შავი წყლის ნაკადები, ჯერ დაწვრილებით გამორკვეული არ არის. ინჟ. ბერნაცკის გამოკვლევით მდ. წყალს მიწის ქვეშ გძელი მდინარ აქვს და არავითარი ქიმიური ნა საობა მდ. ტყვიბულას წყალ არა აქვს: მდ. ტყვიბულას მიწის მდინარების დროს უერთდება თვე მდ. შაორის და ქვერუნის წყლ ნაკადები, რომელთა მდ. ტყვიბულ თან შეერთების საკითხი უნდა მორკვეულ იქნეს ქიმიური და პერატორული მეთოდით უფრო დეტ ლურად.

შესაძლებელი ხდება მდ. ტყვიბ ლის ბასეინიდან გაკეთებული დიდი სიმძლავრის ელსადგური, ლის საშუალებით, შესაძლებელი დება მთელ საუღელტეხილო და მაღაროების ელექტროფიკ წყალთსაცავს, რომელიც ელსად რისთვის უნდა გაკეთდეს, ექნება 10 კვადრატ. კილომეტრი მოედანი.

იმ ადგილების ჩამორთმევის შ ხებ, რომელიც წყალთსაცავმა უნდა დაიკავოს, უკვე აღძრულია შუამდ ლო ამიერ-კავ. სახ. კომის საბ წინაშე.

პროფკავშირებში

სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა ბიუროს მოქმედე

სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა ცენტრ ბიუროს მოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ტაშკოვმა, რომელმაც აღნიშნა ბიუროს დამაკმაყოფილებელი მოქმედება კავშირის ყველა სექციებში.

უკვე დამყარებულია კავშირი ცენტრთან და პროვინციებთან. პროფკავშირების საერთო ეკონომიურ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დამყარებულია მჭიდრო კავშირი პროფ'საბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებასთან, სამეურნეო ორგანოებთან და შრომის ბირჟასთან არსებულ სამრეწველო-ტეხნიკურ კოლექტივთან. მოეწყო სამეცნიერო-ტეხნიკური კლუბი, რომლის წესდება დიდი ხანი არ არის, რაც დაამტკიცა საქ. პროფსაბჭომ. კლუბის გამგეობის მიერ დამუშავებულია ლექციების მთელი რიგი რომელიც საკითხული უნდა იქნეს როგორც ბიუროს წევრებისათვის, ისე მუშათა ფართე მასებისათვის.

მომავალი მუშაობის გეგმაში გათვალისწინებულია სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა პროფესიონალურ მუშაობაში უფრო მეტად ჩაბმა, აზერბეიჯანის და სომხეთის საინჟენერო ტეხნიკურ გაერთიანებასთან შეთანხმებულ მუშაობის წარმოება, ამიერ-კავკასიის თათბირის მოწვევა და მუშაობის გაცხოველება ადგ ეკონომიურ დარგში განზრახ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მონაწილეობის მი რომელიც შეეხება სახელმწიფო რატის გაუმჯობესებას, აქტიური ნაწილეობა საწარმოო თათბირ და აგრეთვე სამეცნიერო-ტეხნიკ ცოდნათა პოპულიარიზაცია მუშ შორის და სხვა.

ამხ. ტიშკოვის მოხსენების თანა მად პლენუმმა მიიღო რეზოლიუ რომელიც იწონებს ბიუროს მუშ ბას და ამტკიცებს მომავალი მუშ ბის გეგმას. ამასთანავე პლენუმი ლებს ბიუროს გააძლიეროს მუშა სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სა თო-საკავშირო მუშაობაში ჩასაბ ლად.

პლენუმმა აგრეთვე დამაკმაყო ლებლად სცნო კავშირებთან არ ბული სექციების მოქმედება და ა თანავე გამოსთქვა სურვილი გაძლ რებულ იქნეს ყველა სექციების შაობა კულტურულ საგანმანათლ ლო დარგში. პლენუმი ყურადღ მიაქცევს აგრეთვე საწევრო გადა ხადების შეტანის მოწესრიგების კითხს.

ყოფილ მენშევიკთა გაფართოებული თათბირი

(1923 წ. 25 აგვისტოს ყრილობის წლის თავის აღსანიშნავად)

ყოფილ მენშევიკთა სალიკვიდაციო ყრილობის წლის თავის აღსანიშნავად ორშაბათს, 25 აგვისტოს ნაძალადევის თეატრში გაიმართა ყოფილ მენშევიკთა დელეგატების გაფართოებული თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ყველა რაიონების და საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა.

თათბირი გახსნა ამხ. ფარნიევმა, რომელმაც მოკლეთ გააცნო დამსწრეებს თათბირის მიზანი და დანიშნულება. ამხ. არჩილ რუხაძეს წინადადება შეაქვს თათბირის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცენ მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. მისივე წინადადებით დარბაზი ფეხზე ადგომით იგონებს მენშევიკების ცეკისგან ვერაგულად დაღუპულ ამხ. ამხ. ილარიონ გიორგაძეს და ქაიხოსროშვილს.

პრეზიდიუმის არჩევა.

თათბირის მიერ პრეზიდიუმში ერთხმად არჩეული არიან ამხ. ამხ. თ. ქუმბურიძე (ქუთაისიდან), ჯიბლაძე ვასო, ქელიძე ბიქტორ (სამტრედიიდან) ბაბნიძე სიმონ (ხაშურიდან), პაიჭაძე სოლომონ (ფოთიდან), ერქომაიშვილი დავით (გურიიდან), ეფრემიძე პროკ. (გორიდან), ჩოჩია ოლღა (სამეგრელოდან) როსტომაშვილი (ბორჯომიდან), ქელიძე (თბილისის 1 რაიონიდან), ჩირეკიძე (იქიდანვე), გნოევოი პეტრე (მეორე რაიონიდან), ბესოშვილი (მე-3 რაიონიდან), რუხაძე არჩილ (მე 4 რაიონიდან). სამდივნოში არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. ბერაძე ვლადიმერ, ქორქია, ჭყონია, თოფაძე და შ. გომართელი.

ამხ. ფარნიევის მოხსენება

პირველი სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. სანდრო ფარნიევს, რომელიც მიმოხილვას უკეთებს მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო ბიუროს მოქმედებას 25 აგვისტოს ყრილობის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში.

ბიუროს მთავარი დანიშნულება იყო მტკიცეთ გაეტარებია ის გადაწყვეტილებანი, რომელიც გამოიტანა ყოფილ მენშევიკთა ყრილობამ პარტიის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ. ბიუროს უკვე გამორკვეულ ამხანაგთა შეგნებაში უნდა განემტკიცება უპირატესობა იმ მიმართულების, რომელსაც ყოფილი, მენშევიკები დაადგენ ამხ. კომუნისტებთან ერთად. ამავე დროს ბიუროს უნდა სასტიკი ბრძოლა ეწარმოებია იმ ილიუზიებთან და ყალბ ინფორმაციასთან, რომელსაც მენშევიკების საზღვარგარეთის ბიურო და ადგილობრივი ცეკა ავრცელებდა უკვე ჩამოშორებულ ამხანაგების თავის წიაღში დასაბრუნებლად, ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო და არა თუ ამხანაგები, შერჩენ 25 აგვისტოს აღებულ პლატფორმას, რომელთაც ყრილობის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა, არამედ ჩვენ მხარეზე გადმოსულ ამხანაგთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა მთელი წლის განმავლობაში, არალეგალურ ცეკას დაბრუნებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ იქ დაბრუნებულთა რიცხვი მეტად უმნიშვნელოა.

მენშევიკთა სალიკვიდაციო მუშაობაში ერთ-ერთს მთავარ იარაღს წარმოადგენდა ახალი გზის საგიტაციო-საპროპაგანდო ჟურნალი „სიმართლის ხმა“, რომელიც თავის გარშემო იკრებდა ყველა გამოფხიზლებულ მუშასა და გლეხს. ბიურომ რომ თავისი დანიშნულება ბრწყინვალედ შეასრულა, ეს სჩანს იმ ფაქტიდან, რომ საქართველომ არალეგალური მუშაობის გასაჩაღებლად ჩამოსული უჯარო გენერლები ბენია ჩხიკვიშვილები და ვალიკო ჯუღელები დღეს თავშესაფარსაც კი ვერ პოულობენ თავის ყოფილ თანამოაზრეებში და ყველასგან გარიყულნი ადვილად ვარდებიან რევოლიუციის ფხიზელ დარაჯის—საგანგებო კომისიის ხელში. იმ ზრახვათა განსახორციელებლად, რომელიც ამოძრავებს ნოე ჟორდანიასა და საზღვარ-გარეთის ბიუროს, საქართველოში ნიადაგი გამოცლილია.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ბიუროს მოქმედებაზე საქართველოს გარეთ. ბიუროს წევრებმა დაიარეს რუსეთის მნიშვნელოვანი ცენტრები, სადაც კი ოდესღაც მენშევიკური ორგანიზაციები მუშაობდენ, რათა გაეცნოთ მათთვის საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ახალი გზა.

ბიუროს განზრახვა ჰქონდა რუსეთის მასშტაბითაც ჩაეტარებია პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციები. მაგრამ ასეთი მუშაობა საჭირო აღარ შეიქნა იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ რუსეთში მენშევიკური პარტიას ჩამოშორებია სავსებით მუშური ელემენტები და აქა-იქ საცოდავად ბოგანობდენ მხოლოდ უჯარო გენერლების ცენტრალური კომიტეტები. უკეთებს რა ნოე ჟორდანიას უკანასკნელ წერილებს სათანადო ანალიზს, მომხსენებელი ააშკარავებს სრულს შეუსაბამობას წინად დაწერილსა და დღევანდელს ნათქვამს შორის,—ერთი მხრივ, და მეორე მხრივ სიტყვის და საქმის სრულს შეუსაბამობას. მომხსენებელი არ ივიწყებს აგრეთვე სეით დევდარიანის დღევანდელ პოზიციას, ახასიათებს მას, როგორც გაურკვეველს და, როგორც აგეთს, მომხსენებელი სთვლის სეით დევდარიანის პოზიციას სრულიად მიუღებლად. ათავებს რა თავის მოხსენებას ამხ. ფარნიევს, საჭიროთ აღარ მიაჩნია მენშევიკთა სალიკვიდაციო ბიუროს და მისი ორგანოს „სიმართლის ხმის“ არსებობა, რადგან ყოველ პატიოსანს მუშასა და გლეხს საშუალება აქვს თავის მოქმედება გადაიტანოს კომპარტიის რიგებში, ხოლო თავისი აზრი თავისუფლად გამოსთქვას კომუნისტურ და საბჭოთა პრესაში.

კამათი მოხსენების გარშემო

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროვინციიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა: დავითიანმა (თელავის მაზრიდან), მაისურაძე ტურამ (გარე კახეთიდან), ვასო მახარაძემ, (ფოთიდან), გოგიბერიძემ (ბათომიდან), კვინიკაძემ და ბაბნიძემ (ხაშურიდან). ამხანაგები აცნობებდენ რა პროვინციალურ ბიუროების მუშაობას თათბირს, იზიარებდენ ამხ. ფარნიევის საერთო მოსაზრებებს წარსული მუშაობის შესახებ.

ამხ. დავითიანი და ამხ. ტურა მაისურაძე მოითხოვენ ბიუროების და ბეჭდვითი ორგანოს მუშაობის გაგრძელებას, რადგან დასახული მიზანი მათ არ ჰგონიათ ჯერ სავსებით მიღწეული.

კამათის გაგრძელება შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

სხდომა დასრულდა საღამოს ათის ნახევარზე.

საბიბლიოთეკო მუშაობა კავშირებში

კავშირების კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში საპატიო ადგილი აქვს დაკავებული საბიბლიოთეკო მუშაობასაც. უკანასკნელი შეადგენს საკლუბო მუშაობის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. კლუბი მით უფრო გააცხოველებს მუშაობას, მით უფრო ღრმად გაუშვებს თავის ფესვებს მუშათა ფართო მასებში და აღბეჭდავს მათში წარუშლელ და ნაყოფიერ ზეგავლენას, რაც უფრო კარგათ იქნება მოწყობილი ბიბლიოთეკა.

კლუბში, გარდა მასიური კულტ-განმანათლებელი მუშაობისა, სწარმოებს აგრეთვე წრეობრივი მეცადინეობა. არის პროფწრეები, პოლიტწრეები, არის ლენინიზმის შემსწავლელი წრეები და სხვადასხვა სახის კუთხეები. ყველა ამათ სჭირდება შესაფერი წიგნების მიწოდება. ეს რთული მოვალეობაც აწევთ ბიბლიოთეკებს, გარდა იმისა, რომ მათ პირდაპირ მოვალეობას მუშებისათვის წიგნების ფართოდ მიწოდებაა. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი ბიბლიოთეკებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. უმთავრესი ეს მათი დაწმენდაა, დახვეწა მოძველებულ ხლამიდან, ურგებ ლიტერატურიდან. ჯერ კიდევ უხვად მოიპოვება სამწუხაროდ ჩვენ მუშათა ბიბლიოთეკებში ისეთი წიგნები, რომლებსაც საწამლავივით შეუძლიათ იმოქმედონ მუშებზე. ამ ნაგავის გარეთ გამოყრა და მუშათა ბიბლიოთეკების შერჩეულ ლიტერატურით შევსება მორიგი და გადაუდებელი ამოცანაა.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ამ მხრივ უკვე დაწყებულია, გამოცემულია შესაფერი ინსტრუქციები. და მრავალი ბიბლიოთეკა უკვე გაიწმინდა. დაწყებული მუშაობა მეტი სისწრაფით უნდა ჩატარდეს კავშირების მუშათა ბიბლიოთეკებში, რომელთა თაროებში კიდევ მრავლად განისვენებენ დამჩვარული წიგნები.

არის მეორე ნაკლი, რომელსაც აგრეთვე მიექცა ჯეროვანი ყურადღება და უნდა ვიფიქროთ, რომ მალე მოელება ბოლო. ეს არის შესაფერად მომზადებულ ბიბლიოთეკარების უყოლობა. ახალ ბიბლიოთეკას ახალი დანიშნულებით და ამოცანებით სჭირდება კავშირების პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობისათვის შესაფერი კადრი, ამიტომ მეტად დროულად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობის დადგენილება საბიბლიოთეკო კურსების გახსნის შესახებ. კურსებზე განზრახულია 60 მსმენელის მიღება. კავშირებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ, რომ ამ კურსებზე წარგზავნონ შესაფერისი კანდიდატები. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კავშირების კულტგანყოფილებები ამ საქმეში ვერ იჩენენ შესაფერ სიცხოველეს. რამდენათაც ჩვენ ვიცით, ჯერ ჯერობით მათ ასეთი კანდიდატები არც კი წარუდგენიათ პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებისათვის, თუმცა ამის შესახებ წინასწარ იქნენ გაფრთხილებულნი, ასეთი მოვლენა ყოვლად შეუწყნარებლად უნდა იქნეს ცნობილი მით უმეტეს, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ კავშირების განკარგულებაში არსებულ მუშათა ბიბლიოთეკებს.

სულ კავშირების განკარგულებაში ჯერ ჯერობით 135 ბიბლიოთეკაა ამათში დაახლოებით 55515 წიგნი ირიცხება. ეს რიცხვი არც ისე პატარაა, რომ არ ღირდეს ყურადღების მიქცევა.

ბიბლიოთეკებს სჭირდებათ შესაფერად მომზადებული პირები. ვეჭვობთ, რომ კავშირებს შეეძლოთ ამ მხრივ დამშვიდებულნი იყვნენ. სასწრაფო ნაბიჯებია საჭირო ხსენებულ კურსებზე თავიანთ კანდიდატების წარსაგზავნად, მით უმეტეს რომ მეცადინეობის დაწყების ვადა არც ისე დიდი მანძილით არის დაშორებული ჩვენგან. კანდიდატების არჩევის დროს რა თქმა უნდა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, სურვილი მეცადინეობის, სტაჟი და სხვა.

წიგნის მუშებთან დაახლოვებისათვის კავშირები მიმართავენ კიდევ ერთ ზომას,—ეს არის მოძრავ ბიბლიოთეკის მოწყობა. უნდა ითქვას, რომ წიგნის მუშასთან დაახლოვებისათვის ეს საუკეთესო საშუალებაა. მუშას სხვადასხვა მიზეზების გამო უჭირს ბიბლიოთეკაში სიარული, რომელიც ხშირად არც ისე ახლო მანძილით არის დაშორებული მისგან. ამიტომ, მას სიამოვნებით მიაქვს წიგნი წასაკითხათ, როცა იგი მასთან, წარმოებაში მიაქვთ. ამ გზით მუშა თანდათან ეჩვევა წიგნს, როგორც აუცილებელ რამეს, და შემდეგში რა თქმა უნდა აღარც ბიბლიოთეკაში შესვლა გაუჭირდება.

მოძრავ ბიბლიოთეკის ქსელის გამრავლება უნდა გახდეს აგრეთვე კავშირების ზრუნვის მთავარი საგანი. სარაიონო, ან კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა ვერასდროს ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს ისე, როგორსაც მოძრავი ბიბლიოთეკა. რა თქმა უნდა ასეთ ბიბლიოთეკას მით მეტი შერჩევით უნდა შედგენა.

X.

რკინის გზებზე

— **უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის.** უღელტეხილის უბნის ელექტროფიკაციის საკითხი ცენტრმა უკვე გადაწყვიტა. წინასწარ მუშაობის დასაწყებათ, მომავალ ხარჯთაღრიცხვის წლისთვის, გადადებულია 150.000 მანეთი.

— **კრედიტი სამუშაოებისათვის.** ახლად დაწყებულ სამუშაოების დასამთავრებლად ა. | ქ. რკ. გზებზე ცენტრთან შეთანხმებულია კრედიტი ჯამით 780.000 მან. ამ თანხიდან 300.000 მან. მოხმარდება ფოილოს ხიდს, 100.000 მან.—ძირულის ხიდს, 30.000 მან. რკ. გზ. სამმართველოს შენობის გაფართოებას.

— **სახარჯთ-აღრიცხვო კომისია.** 21 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა ა. ქ. რკ. გზების სახარჯთაღრიცხვო (сметная) კომისია.

— **ავადმყოფთა გადაყვანა.** ეცნობა ყველა უბნებს, რათა სამგზავრო მატარებლებში გადამდებ სენით ავათმყოფნი და ძაღლით დაკბენილები არ იქნენ დაშვებულნი უბნის ექიმის ნებართვით.

— **ორთქმავლის გადაცდენა.** 24 აგვისტოს სად. კიდეაისთან მუშათა მატარებლის ორთქმავალი, ისრის ცუდად დაყენების გამო გადასცდა ლიანდაგს.

— **გორის შპალების საჟღენთი ქარხანა.** 21 აგვისტოს ა | ქ. რკ. გზების გამგეობამ და საგანგებო კომისიამ გორის შპალების საჟღენთ ქარხანაში მოახდინა ცდები. ცდები დამაკმაყოფილებელი გამოდგა და ქარხანა მუშაობას შეუდგა.

წმენდა შრომის ბირჟაში

(საუბარი თბილისის შრომის ბირჟის გამგის მოადგილესთან ამხ. ჟულელთან)

გუშინ თბილისის შრომის ბირჟაში დაიწყო ყველა კატეგორიის უმუშევართა წმენდა.

წმენდა უნდა გაიაროს დაახლოვებით 18,000 უმუშევარმა.

ამის შესახებ შრომის ბირჟის გამგის მოადგილემ ამხ. ჟულელმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი.

კვალიფიციურ მუშაკთა შერჩევა.

— წმენდის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბირჟას აღრიცხვაზე დარჩეს ყველა დარგის შრომის სავსებით მომზადებულ მუშაკთა კადრი. დღემდე ჩვენ აღრიცხვაზე გვყავდა აყვანილი ეგრეთ წოდებული „შრომის მაძიებელთა“ კატეგორია. ამაში შედიოდენ ის პირნიც, რომელთაც არასდროს არსად არ უმუშავნიათ; ბევრი იყვნენ „პარაზიტებიც“.

წმენდამ, რომელიც გაგრძელდება 20 დღე, უნდა მოახდინოს ნამდვილ კვალიფიციურ მუშა-მოსამსახურეების შერჩევა.

ამ მიზნით ჩვენ მოვითხოვთ უმუშევართაგან სტაჟს: შავი მუშებისათვის—1 წელს, მოსამსახურეებისათვის—3 წელს; ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, და დაზგასთან მდგომი მუშები, ცხადია, უსტაჟოდ გატარდებიან წმენდაში, აგრეთვე წმენდა არ შეეხება მშრომელ ახალგაზრდობას.

საერთო წმენდის შემდეგ ჩვენ შევუდგებით ექსპერტიზას სპეციალობის მიხედვით.

ბირჟა მხოლოდ შუამავალია.

ჩვენი ეხლანდელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევარჩიოთ სამეურნეო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის კვალიფიციურად გამოსადეგი მუშაკები.

ჩვენ არა თუ არ ვუკრძალავთ დაწესებულებებს მათვის საჭირო მუშაკების დამოუკიდებლად მათ მიერ შერჩევას, არამედ ჩვენვე წინადადებას ვაძლევთ მოახდინონ თვითვე ეს შერჩევა, ყოველგვარი რიგის გარეშე, მაგრამ შემდეგი რეგისტრაციის პირობით.

მუშების შერჩევას ისე, რომ „ნამდვილი მუშაკი იყოს თავის ადგილას“—ჩვენ უკავშირებთ საერთო საჭირბოროტო საკითხს შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

ამიტომ არის, რომ შრომის ბირჟა ჯერ-ჯერობით ხელს იღებს შრომის ბაზრის მოწესრიგების მონოპოლიურ უფლებაზე და დგება სამეურნეო შუამავლის ნიადაგზე.

გაწმენდის და ექსპერტიზის შემდეგ ჩვენ გამოვკიდებთ ბირჟაში და დავუგზავნით ჩვენს დაწესებულებებს ნამდვილ უმუშევართა სიას მათი სტაჟის აღნიშვნით და წინადადებას მივცემთ მათ გამოიყენონ ისინი; ასეთი წესი იქნება შემოღებული მომავალში.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაწესებულებებმა ჩვენ აღარ უნდა მოგვმართონ უშუალოდ.

ბუნებრივია, რომ დღემდე დაწესებულებები და უმთავრესად კი სამეურნეო ორგანოები ჩვენ უნდობლობის თვალით გვიცქეროდენ.

ავიღოთ მაგალითად, ჩვენ ვაგზავნიდით ვინმეს სამუშაოზე. სამეურნეო ორგანოები ღებულობდენ მას. მუშაობის პროცესში ის აღმოჩნდებოდა უვარგისი, დაწესებულებები ითხოვდენ მას.

სხვათა შორის, უკვე ამ წლის დასაწყისიდან ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვერჩია მუშაკები კვალიფიკაციის მიხედვით.

6.000

დღემდე ღებულობს ყოველგვარ დახმარებას (დაკლებული საბინაო ქირა, უფასო კომუნალური სამსახური, დამზღვევი კასის დახმარება, განთავისუფლება გადასახადებისაგან და სხვ.). 6,000-ზე მეტი კაცი.

მომავალში მათ დახმარებას აღმოუჩენს დამზღვევი კასა და არა ბირჟა, მიუხედავად იმისა, ითვლებიან ისინი აღრიცხვაზე თუ არა.

დამზღვევ კასას ჰყავს თავისი კონტროლიორები. ისინი გამოარკვევენ, თუ ვინ როგორ გაჭირვებას განიცდის ამ კატეგორიის უმუშევრებს შორის.

საწარმოო თათბირები თბილისში

(საუბარი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო ეკონომიური განყოფილების გამგის მოადგილესთან ამხ. პრეობრაჟენსკისთან)

გემოკვებელთა გამოცდილება.—კამპანიის ახალი გეგმა.—სარევიზიო კომისიები.—ხელოვნების მუშაკთა კავშირი და აკადემიური თეატრები

ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია კავშირების მიერ წარმოებებში გამართულ საწარმოო თათბირების ყველა ოქმები, მაგრამ უკვე ამჟამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საცდელ ნაბიჯებს ამ ახალ საქმეში მოჰყვა დადებითი შედეგები.

მართალია ჩვენი საწარმოო თათბირები უსისტემოთ მიმდინარეობენ, მაგრამ ამ თათბირებს შედეგათ მოჰყვა მრავალ დეფექტების თავიდან აცილება.

საინტერესოა ამ მხრივ გემო-კვების კავშირის გამოცდილება. რომელმაც გამართა 6-დე თათბირი თამბაქოს მრეწველობის საწარმოო დაწესებულებებში. თათბირებზე განხილული იქნა საკითხები ნედლი მასალის რაციონალურად დამზადების, ზედდართულ ხარჯების და სხ. შესახებ.

საწარმოო თათბირებისათვის უფრო ორგანიზაციულ ხასიათის მიცემის მიზნით ამ დღეებში ჩვენ მოვიწვევთ ყველა კავშირების სტარიფო-ეკონომიური განყოფ. თათბირს, რომელზედაც გამომუშავებული იქნება საწარმოო თათბირების მოწვევის გეგმა. უნდა ითქვას, კამპანიას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა საბიუჯეტო-სამეურნეო წლის მოახლოვების გამო.

სარევიზიო კომისიაში. წარმოებათა სამეურნეო ცხოვრებაში კავშირის ჩაბმის მიზნით ჩვენ ვაფართოებთ პროფკავშირთა სარევიზიო კომისიების მოქმედებას.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ შემუშავებული დებულება ამ კომისიების შესახებ წარედგინა სახ. კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად. დამტკიცება ჯერ არ მომხდარა, რის გამოც ამ კომისიებს არ შეუძლიათ ფართოდ განავითარონ თავიანთი მოქმედება.

პროფკავშირთა სარევიზიო კომისიების ამოცანას შეადგენს წარმოებათა ანგარიშების და ბალანსების პერიოდული შემოწმება, დასკვნების მიცემა ხარჯთაღრიცხვის პროექტების და მუშაობის გეგმათა შესახებ.

წინაამდეგ საწარმოო თათბირებისა სარევიზიო კომისიები ითვლებიან მუდმივ ორგანოებად და მათ სხვათაშორის დაკისრებული აქვთ დისციპლინარული პასუხისმგებლობა თავიანთი მოქმედებისათვის.

სარევიზიო კომისიებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა.

ავიღოთ თუნდაც აკადემიურ თეატრების რევიზიის შედეგები. რევიზია მოახდინა ხელოვნების მუშაკთა კავშირმა, რომელმაც აღმოაჩინა დიდი ნაკლულოვანებანი.

—ქი.

წითელ ჯარში

წითელ-არმიელთა ჩარიცხვა ტერიტ. ნაწილებში

სულ ორი თვეა რაც ჩვენ შევუდექით ეგრეთ წოდებულ ტერიტორიალურ ლეგიონების შექმნას და შედგენას.

ჯერ ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ლეგიონისათვის მიგვეცა პირველ დაწყებითი ორგანიზაციული ფორმა, ის ჩამოყალიბებულიყო როგორც სამხედრო ერთეული ლეგიონში დაწესებული შტატის მიხედვით: ლეგიონის თავი (ანუ კომანდირი), ლეგიონის სამხედრო კომისარი, ათასეულებისა და ასეულების თავები და სხვა ლეგიონში საჭირო სამნეო და უფპოლიტ. შემადგენლობა. ეს მუშაობა უკვე დასრულდა.

დაახლოებით ენკენისთვის პირველ რიცხვებში ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩარიცხვა წითელ-არმიელებისა იმ ლეგიონებში, რომელთაც ტერლეგიონები ეწოდება. რას ნიშნავს ეს ჩარიცხვა. ჩვენ ვიცით, რომ ტერლეგიონების წითელ არმიელები, რომლებიც სოფლად და ქალაქად არიან და ყაზარმაში არ არიან გაწვეულნი, ითვლებიან წითელ-არმიელებათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი ჩაწერილი, ჩანიშნულნი არიან ტერლეგიონში, აქვთ წითელი არმიელის შესაფერი მოწმობა, და ითვლება ამა თუ იმ ასეულში და ათეულში; მხოლოდ ის ერთ და იმავე დროს წითელარმიელიცაა და თავის კერძო თუ საზოგადო საქმეზე მუშაობს. მაშასადამე, სოფლათ თუ ქალაქათ მყოფი მუშები და გლეხები, რომელთაც წილათ ხვდათ სამხედრო ბეგარა, აი, ესენი ნაწილებში უნდა ჩავრიცხოთ, რომ მათ იცოდენ, რომელი ლეგიონისაა, რომელი ათასეულის, ასეულის და ოცეულის, რომ მათ იცოდენ, რომ თვითეული მათგანი ნამდვილი წითელი ჯარის კაცია, მხოლოდ ჯერ-ჯერობით თავის სახლში და თავის საქმეზე. მხოლოთ თუ ის მუდმივათ ყაზარმაში არ არის, მან უნდა იცოდეს, რომ ამით ან და ასეთნაირი ლეგიონების შედგენით, როგორც სახელმწიფოს, ისე კერძოთ მას დიდი სარგებლობა აქვს. ერთი რომ სახელმწიფო ხარჯავს ნაკლებს ჯარზე და ამით არ ნიავდება საზოგადო ქონება და სიმდიდრე, და მეორე თვით წითელარმიელი არ აკლდება სოფლისა და ქალაქის მეურნეობას და როგორც მისთვის, ისე საბჭოთა რესპუბლიკისათვის, სარგებლობა მოაქვს.

მაშასადამე, ეს მეორე ამოცანა დღეს ჩვენ უნდა შევასრულოთ, რაც კარგათ უნდა გაუშუქონ სოფლის მშრომელ ხალხს ჩვენმა უფ. და პოლიტშემადგენლობამ და ყველა პარტ ორგანიზაციებმა.

შემდეგ მესამე ამოცანა იქნება ამ ჩაწერილთა ერთად თავმოყრა რამოდენიმე კვირით, გადასასინჯავათ მათი ცოდნისა და სხვა, რის შემდეგ ისევ სახლებში დაბრუნდებიან.

თენგიზ ჟღენტი

მილიციაში

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანება რესპუბლიკის მილიციისადმი

ქალაქ ქუთაისში და ქუთაისის მაზრაში, მილიციის ერთგული და ენერგიული მუშაობით, ამ უკანასკნელ ხანებში ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და საერთოდ სხვა ბოროტ-მოქმედება შესამჩნევად შემცირდა, რითაც მშვიდობიან მოქალაქეთ საშუალება მიეცა მყუდრო ცხოვრებისა.

საბჭოთა ხელისუფლების ასეთ ერთგულ სამსახურისა და ბოროტ-მოქმედ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმის სათანადო დონეზე დაყენებისათვის, მადლობას ვუცხადებ ქუთაისის მაზრა-ქალაქის მ. გ. მილიციის უფროსს ნესტორ ნანაძეს, მის თანაშემწეს გიორგი იამანიძეს და მილიციის მთელ შემადგენლობას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი ჟატიევი.

საბჭოთა სასამართლო

გ. ასათიანის საქმე

(26 აგვისტოს სხდომა).

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ~~შომახია~~, სახალხო მსაჯულნი რამიშვილი და ლოტარია,—დაიწყო გ. ასათიანის საქმის გარჩევა. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, გიორგი ასათიანს ბრალად ედება თავისი ცოლის ქსენია (იგივე ქეთო) ასათიანის მოკვლა წინასწარი განზრახვით (ს. ს. კ. 146 მუხ.).

დაუსწრებელ მოწმეთა სიის გამოცხადების შემდეგ, ბრალდებულის დამცველმა ს. დადიანმა შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე საქმის გარჩევის გადადების შესახებ, ვინაიდან სხდომას არ დაესწრენ ბრალდებულისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მოწმენი. გარდა ამისა, დამცველი ითხოვს ბრალდებულის ფსიქიურ თვისებების გამოსაკვლევად ახალ ექსპერტიზის დანიშვნას. მცირე ხნის თათბირის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს დადგენილება არასაპატიო მიზეზით დაუსწრებელ მოწმეთა დაჯარიმების, მოწმეთა ხელმეორეთ გამოწვევის და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რის შემდეგ სხდომა გრძელდება.

შემდეგ წაკითხულ იქნა საბრალმდებლო დასკვნა, რომლის მოკლე შინაარსი მოყვანილი იყო ჩვენი გაზეთის წინა ნომერში. სასამართლოს შეკითხვაზე: სცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავეთ საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში, ბრალდებული აცხადებს, რომ სცნობს თავს მკვლელათ, მაგრამ უარყოფს დანაშაულს მკვლელობის წინასწარ განზრახვასა და მომზადებაში. ბრალდებულის ჩვენებით ბოროტმოქმედების უშუალო მიზეზი იყო ცოლის საქციელი. სახალხო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის მეორე დღეს ის წავიდა საბავშვო სახლში შვილის სანახავად. საბავშვო სახლში შვილი არ დახვდა, რადგან იგი ავადმყოფობის გამო დედას შინ გადაუყვანია: ბრალდებული გაეშურა მატინოვის ქუჩისაკენ (სადაც სცხოვრობდენ მისი ცოლ-შვილი). ვარდისუბნის ქუჩაზე მას შეხვდა ქეთო ასათიანისა. ბრალდებულის შეკითხვაზე შვილის ნახვის შესახებ, ქალმა კაპასი ხმით შეუტია ქმარს, როგორ თუ კიდევ ბედავ ჩემთან მოსვლასო. გ. ასათიანმა დაკარგა მოთმინება და აღელვებულმა მოჰკლა ცოლი. შემდეგ თვითონვე მოათავსა ეტლში მძიმედ დაჭრილი ცოლი და გაგზავნა საავადმყოფოში.

ბრალდებული ყოფილი ტერორისტია (მეფის დროს). ამჟამად კი ვაჭარი—ყავახანის პატრონი. ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებიდან სჩანს, რომ 1920—21 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, სანამ ქალი გაიცნობდა მოქ. ჩიმაკაძეს, ცოლ-ქმრის ურთიერთ დამოკიდებულება შედარებით წესიერი იყო. მანამდეც (ჩიმაკაძის გაცნობამდე) და შემდეგაც ქმარი ყურადღებით ეკცეოდა თავისი ცოლის მოთხოვნილებებს. მეორეს მხრით ქალიც საკმაოდ ჭირვეული ყოფილა (მერკვილაძის და ელისაბედ ძიძიშვილის ჩვენება); ხშირად ანჩხლობდა მოურიდებლად ლანძღავდა ქმარს, არ მალავდა თავის კავშირს საყვარელთან, რითაც ქმარს თავმოყვარეობას ულახავდა და სხვა. მოწმე მერკვილაძეს, მაგალითად, უკვირდა ქალის უზრდელი და გამომწვევი საქციელი სახალხო სასამართლოში, სადაც მან მსჯავრდადებულ ასათიანისათვის დემონსტრატიულად განუცხადებია: „დაიცა, უარესს გიზამ, ციხეში ჩაგალპობო“. ამავე მერკვილაძეს უნახავს ერთხელ სახე დაკაწრული ქმარი რომელიც იმ წუთს სახლიდან ბრუნდებოდა.

მაგრამ იმავე მოწმეების და აგრეთვე სხვათა ჩვენებიდან (გ. გოგოტიშვილის, იმავე ელისაბედ ძიძიშვილის და სხვ.) სჩანს რომ ქალის ეს საქციელი უსაფუძვლო არ იყო. ჯერ კიდევ ჩიმაკაძის გაცნობამდე ქალი რამდენიმეჯერ შესჩივლებია ერთ თავისი ნათესავისთვის: ქმარი არ მიყვარს, მინდა გავეყაროო, მცემსო, დანით მემუქრებაო და სხვა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 26 აგვისტოს საღამოსათვის.

მეცნიერება-ტეხნიკა



ხმის გამაძლიერებელი მანქანა. ამერიკაში გამოიგონეს მანქანა, რომელიც ხმას მილიონჯერ აძლიერებს. ჩვენი სურათი წარმოადგენს ამ მანქანას, რომელსაც დგამენ სხდომის დარბაზში, რომ ორატორის ხმა უფრო გარკვევით გაიგონონ.

მარსის შესწავლა.

მარსზე დაკვირვების დროს ჰამბურგის აბსერვატორიაში პროფესორმა გრაფფმა დაადასტურა პლანეტაზე წინად შენიშნულ არხების არსებობა და აგრეთვე შეამჩნია ახალი ხაზები, რომელიც პროფესორის აზრით წარმოადგენს მატერიკებს. გრაფფმა შენიშნა არხები და ახალი, პირველად შემჩნეული ყვითელი ზოლები. უკანასკნელთა ბუნება ჯერ არ არის გამორკვეული.

ფარაონების ახალი აკლდამები.

ნაუენი. 26 აგვისტო. ქაირიდან მიღებულ ცნობების თანახმად „ეგვიპტეს მეფეების დაბლობზე“ აღმოჩენილი იქნა ფარაონების ახალი აკლდამები, რომლებიც თავისი სიმდიდრით აჭარბებენ ამას წინად აღმოჩენილ ტუტანხამენის აკლდამას. აკლდამები აშენებულია სპილოს ძვლისა და ოქროსაგან. ამ აკლდამებს გათხრის ამერიკელი ექსპედიცია.

ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **საღამო-სეირნობა.** თბ. დამზღვევ კასასთან არსებული პენსიონერთა საზოგადოება 29 აგვისტოს „ბალ არტოში“ გამართავს საღამო-სეირნობას საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლათ.

— **დახმარება უმუშევართ.** დღეს, 27 აგვისტოს, შრ. ბირჟის დამზღვევი განყოფილება აგვისტოს დახმარებას გასცემს გემო-კვების, სახკვების, ქიმიური და ახალგაზრდა სექციის უმუშევარ წევრებზე.

— **ახალი საბინაო ამხანაგობები.** ქ. კომუნალურ განყოფილებამ დაამტკიცა ახალი საბინაო ამხანაგობები გრიბოედოვის ქ. № 6, პლეხანოვის პრ. №№ 154 და 152, რტიშჩევის ქ. № 8 და ნაზარითის ქ. № 17.

— **საბიბლიოთეკო კურსები.** პოლიტგანათლების მთავარ გამგეობა 1 სექტემბრიდან ხსნის საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კურსებს.

— **გლეხკომების დათვალიერება.** სოც. დაზღვევის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გლეხკომების ცენტრ. ბიუროსთან ერთად დაათვალიეროს გლეხკომები მათი მუშაობის შემოწმებისა და მათთან მჭიდრო კავშირის დაჭერის მიზნით.

— **კურსები უმუშევართათვის.** საბჭოთა მუშაკების კავშირი 1 სექტემბრიდან ხსნის საბეჭდავ მანქანაზე მუშაობის შესასწავლ კურსებს უმუშევართათვის.

— **პოლიტ-განათლება მაზრებში.** პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობა ამ ჟამად იმუშავებს ხარჯთაღრიცხვას მაზრებში პოლიტ-განათლების დაწესებულებების შესანახად.

— **სოფლის ახალი საბჭოები.** შინ. საქ. კომისარიატს მაზრებიდან მოსდის თხოვნები ახალი საბჭოების დაარსების შესახებ სოფლად. ახალი საბჭოების გახსნის საჭიროება გამოწვეულია ადგილობრივ მართვა-გამგეობის გასამარტივებლად, გასაცხოველებლად და ცენტრთან მჭიდრო კავშირის დაჭერის მიზნით.

— **კურსები მილიციელთათვის.** ბათომში გაიხსნა კურსები მილიციის მოსამსახურეთათვის, რადაც იკითხება ლექციები მილიციის მოვალეობა-დანიშნულების შესახებ.

— **ამბულატორია ინვალიდთა სახლებთან.** საქ. წითელ ჯვარმა გადასწყვიტა ინვალიდთა სახლებთან გახსნას 2 ამბულატორია.

— **პოლიტიკურ ანბანის შესასწავლათ.** პოლიტ-განათლების მთავარმმართველობამ [illegible] საქართველოს სხვადასხვა ადგილას გახსნას პოლიტიკურ ანბანის შესასწავლათ 151 სკოლა.

— **აფხაზეთის ხარჯთ-აღრიცხვა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა აფხაზეთის 1924—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.

— **საქველმოქმედო მარკები ინვალიდების სასარგებლოთ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების გეგმა საქველმოქმედო მარკების გამოშვების შესახებ ინვალიდთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლათ.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა 1924—25 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 4,712,000 მ. რაოდენობით.

შემთხვევები.

— თავის მოწამვლა. 23 აგვისტოს ღამით, საპიორის ქ. № 26, ეფროსინე ქანუკოვმა მოიწამლა თავი, რომელიც გადაზვანილი იქნა საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

— დაჭრა. 24 აგვისტოს დილით, ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს გარსიკ და კარაპეტ კარაპეტიანცებს ხელში აუფეთქდათ ბომბის კაპსულები და დაშავდენ.

— თავის დახრჩობა. 23 აგვისტოს ღამის 3 საათზე კარლ მარქსის ხიდიდან (ყოფ. ვორონცოვის) მტკვარში გადავარდა კეთო მელიქიშვილი, მცხოვრები ეკლესიის ქ. № 4. მეორე დღეს მეთევზეებმა გვამი იპოვეს მე-5 კომისარიატის რაიონში.

— ქურდობა. 23 აგვისტოს „სასახლის ნომრებიდან“ მოიპარეს ელექტრონის შუშები და მავთული.

— 23 აგვისტოს ლერმონტოვის ქ. № 15 გაქურდეს ანტონ ჯაფარიძის ბინა, წაიღეს 150 მან. ნივთები.

— 22 აგვისტოს, ქსენიევის ქ. № 5, გაქურდეს ოლღა მუშკინის ბინა.

— 23 აგვისტოს, ამაღლების ქ. № 111, გაქურდეს მარიამ ყაზარიანცის ბინა წაღებულია 100 მან. ნივთები.

— ცოლის დაჭრა. 25 აგვისტოს, დილით ტატიანის ქ. ივან არუთინოვმა მძიმეთ დასჭრა ხანჯლით თავისი ცოლი ვარსენიკა.

— **ფოსტის კანტორის გაქურდვის განზრახვა.** 25 აგვისტოს, ღამით ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ფ. ტელეგრაფის მთავარი კანტორის (პლეხანოვის პრ.) კასა, რომელშიაც ფული არ ინახებოდა. ფულიანი კასა, რომელიც იდგა მეორე ოთახში გადარჩა.

პროვინციაში

ზესტაფონის რაიაღმასკომი ენერგიულად მუშაობს

აგვისტოს 1-ლ რიცხვებში ზესტაფონის რაიაღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე, რომელზედაც მოწვეული იყვნენ თემსაბჭოების თავმჯდომარენი და რაიონში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგები, რაიაღმასკომის მუშაობიდან ბევრი მეტად საინტერესო და საგულისხმიერო რამ გამოირკვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მრავალ პატარა და წვრილმალ საქმეებს, რომლითაც რაიაღმასკომი დატვირთულია და ავიღებთ მხოლოდ აღმშენებლობითი დარგს მან ამ სფეროში ბევრი რამ თვალსაჩინო გააკეთა, აკეთებს და მომავალშიაც ისახავს.

სწორეთ ამ უკანასკნელ პერიოდში რაიაღმასკომის მიერ ქ. ზესტაფონის ქუჩები შეკეთებულ და გაფართოებულ იქნა, ადგილობრივ გლეხების მოთხოვნას დახურულ ეკლესიების კლუბებათ, სამკითხველოებათ და სკოლებათ გადაკეთებაში ხელი შეუწყო ყოველგვარ დახმარებით. ამ ჟამად რაიონში ჯერ-ჯერობით ექვსი ყოფილი ეკლესია გადაიქცა კულტურის კერათ.

რაიაღმასკომმა აგრეთვე უმთავრესი ყურადღება მიაპყრო ქ. ზესტაფონში სახალხო თეატრის უქონლობას. ამ მიზნით მან გამოყო საამშენებლო კომისია რაიაღმასკომის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ, ქ. ქუთაისიდან მიწვეულ იქნა არქიტექტორი ინჟინერი თუმანოვი, რომელმაც მომავალი თეატრის გეგმა შეადგინა. თეატრი 25-საჟ. გამრავლებულს 35-საჟ-ის ზომა ადგილს დაიჭერს, მასვე ექნება შესაფერისი ბაღი, თეტრის გვერდის მდ. ყვირილის სანაპირო ქუჩაც გაშენდება. კომისიამ უკვე გადადგა თავისი ნაბიჯები, საზოგადოება ამას აღტაცებით შეხვდა. ადგილობრივ რკინის გზის ადგილკომმა, რომელსაც განზრახული ჰქონდა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის თეატრის აგება, გადასდო ამ უფრო მნიშვნელოვან თეატრისათვის საამშენებლო მასალა და სამი ათასი მანეთი ფული.

რაიაღმასკომმა თემებში გზატკეცილების შეკეთების და გაფართოების გარდა ხელი მოკიდა გლეხობისათვის მეტად დიდ მნიშვნელოვან ჩოლაბურის ხიდის აგებას.

რაიაღმასკომმა ქ. ზესტაფონის ელექტრო განათებაც გააუმჯობესა დინამო-მაშინების შეკეთებით და ყველა უმთავრეს ქუჩებზე დამატებით ელექტრო მავთულების გაყვანით ის ისახავს მომავალში სოფ. კინაველეთში, რომელსაც მდინარე საკრეულა ჩაუდის, ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგებას.

ვიოლეტა.

ახალ-ხიბულა (ზუგდიდის მაზრა)

ჭირაში-კარის თემში (იმავე მაზ.) არსებობს მოძრავი დრამ-წრე კომკავშირის სახელით. 1922 წ. ის მუდამ ენერგიულად მუშაობდა და ამ ზაფხულში კი უფრო ინტენსივობას იჩენს. აღსანიშნავია ისიც, რომ წრე შესდგება ისეთი ამხანაგებისაგან, რომელნიც არ ზოგავენ თავიანთ ენერგიას გაგონილი გვქონდა, რომ მეზობელ თემში ახალ-ხიბულაში ამ ზაფხულში წარმოდგენა არ ყოფილა; ისიც ვიცოდით, რომ რამოდენიმე თვის წინედ დაამთავრეს კლუბის შენობა. ჩვენმა დ. წ. განიზრახა წარმოდგენების დადგმა ამ თემში.

ჩვენი წრე გაემგზავრა ახალ-ხიბულაში წარმოდგენის დასადგმელად, მაგრამ კლუბი მზად არ ყოფილა და წარმოდგენა არ შესდგა. კლუბის გამგემ უარი განაცხადა დახმარებაზე.

ადგილ. დრამ-წრე რომელსაც მთელი ზაფხული სძინავს და აღარ ინძრევა, დახმარების მაგივრად ხელს გვიშლიდა. სირცხვილია ამხანაგებო, თქვენ უნდა გვეხმარებოდეთ.

შ. დ—ლი.

მარნის თემი (სენაკის მაზრა)

ამ თემის მცხოვრებთა რაოდენობა 1400 კომლს აღწევს. ამ თემში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა და მოგვარდა, მაგრამ სკოლის გაშენების საქმე კი კოჭლობს. ეს იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ დავა არის დღეს იმაზედ, თუ სად გადაიტანონ ამ თემის სამმართველო ეს სამმართველო დაშორებულია საჭილაოს ბაქნიდან ერთი ვერსის მანძილზე. ეს ძველი ადგილი ბუნებრივად მოწყობილია სამმართველოსათვის.

ამ მოედანს ერთვის 5 სასოფლო გზა, აქ არის გაშენებული სამმართველო, შვიდ წლიანი შრომის სკოლა, სამკითხველო. ამავე ადგილას ახლად გაშენებულია შვიდწლიანი შრომის სკოლა და ამ კუთხეს მიზნად აქვს დასახული, რომ მთლად მოაცილონ ცენტრს ძველი სასწავლებელი, რაც ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან სკოლის ასაშენებელი მიწა არის შეძენილი და გეგმაც შემუშავებულია ასაგებად. თუ ეხლა იქნა არა მიზანშეწონილი გეზი გატარებული, მაშინ სამი სოფელი დარჩება უსკოლოთ სიშორის გამო, რაც გამოიწვევს დიდ უთანხმოებას და შუღლს გლეხობაში.

მენშევიკური ბატონობის დროს ამ ცენტრზე პირველად შეიქმნა დავა, მაგრამ ხმის უმრავლესობით ისევ იქნა დატოვებული. ამ სამართველოდან ყველაზე უფრო დაშორებულია სოფ. ქვიშანჭალა და გაუწყებარი, მასთან სოფ. თხმელარიც—და დღეს თუ ეს სამმართველო გადავიდა საჭილაოს ბაქანთან, ეს კიდევ უფრო გააუარესებს ამ სამ სოფლის პირობებს. კარგი კი იქნება სენაკის სამაზრო აღმასკომი მიაქცევდეს ამ მოვლენას ყურადღებას და სადაც საზოგადოების უმრავლესობა მოითხოვს—იქ დაწესდეს ეს ცენტრი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამაზრო აღმასკომი მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და აალდენს ზამთარში მოწყობას 5—6 ვერსის გზის გაყვანას.

ამავე თემელი.

მუშათა ცხოვრება

მუშა-გამომგონთა საყურადღებოდ

ყველა თქვენგანმა იცის რა მდგომარეობაში იყო გამომგონთა ჯგუფი ნიკოლოზის რეჟიმის დროს.

თუ რომელიმე მუშა გამოიგონებდა მანქანას ან სხვა სახელსაწყოს, არავინ ყურადღებას არ აქცევდა მას იმიტომ, რომ ის—ჯერ ერთი—მუშა იყო და, მეორე, უსწავლელი.

მას არ ჰყავდა დამხმარე ორგანო, სადაც დახმარებისათვის შეეძლო მიემართა. ამის გამო მუშა - გამომგონი იძულებული ხდებოდა თავი დაენებებინა თავის გამოგონებისათვის, ან და თუ ცოტა გამოცდილი იყო, მიმართავდა რომელიმე საზღვარგარეთულ ფირმას და გამოგონების გავრცელების უფლებას მიჰყიდდა ჩალის ფასად.

საბჭოთა მთავრობის დროს მუშის ნიჭს და მის გამოგონებას ფართო ასპარეზი ეძლევა. საბჭოთა მთავრობას მიზნადა აქვს დასახული მუშა-გამომგონებლებს მეტი სამუშაო ასპარეზი მიეცეს, რომ მათ თავისი ბუნებრივი ცოდნა არ დაახშონ და გააფართოვონ.

ა. წ. 19 აგვისტოს მოწვეულ იქნა პირველი დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრნენ გამომგონებლები და მათთან ერთად იყო მოწვეული ინჟინერი ა. ს. ბაბოვიც.

კრებამ იქონია მსჯელობა, გაეცნო მდგომარეობას და აირჩია ხუთი კაცისაგან და ორი კანდიდატისაგან შემდგარი დროებითი ბიურო.

არჩეულნი იქნენ შემდეგი პირნი: 1) რკინის გზიდან ამხ. ი. გალუსტოვი, 2) პროფსაბჭოდან ამხ. პრეობრაჟენსკი, 3) ინჟინერი ა. ს. ბაბოვი, 4) თბილისის გამომგონებელთაგან ამხ. რ. თემურაზოვი და თომაშვილი.

ამ ბიუროს ევალება აწარმოოს საქმის მსვლელობა, მანამ მოწვეული იქნება გამომგონთა საერთო კრება, სადაც იქნება არჩეული სრულ უფლებიანი გამგეობა.

გამომგონთა საზოგადო კრებამდე ვისაც კი სურს წევრად შესვლა ამ საზოგადოებაში, უნდა შეავსოს ანკეტა და მიმართოს ამხ. ევლბაუმს. (საქართველოს პროფსაბჭო, მუშათა სასახლე, მეორე სართული ოთახი № 8).

ბიუროს წევრი მუშა გალუსტოვი.

ექსკურსია ქ. თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში.

ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა ექსკურსიების მოწყობა ადგილკომების მიერ დროს გატარების მიზნით: მიდიან კოჯორში, მანგლისში, ბორჯომში და სხვაგან არა იმისათვის, რომ გაეცნონ რაიმე ისტორიულ-მეცნიერულ საგნებს, არამედ გაისეირნონ და იქეიფონ. ეს ძალიან არასასიამოვნო მოვლენაა. ქ. თბილისში მრავალი დაწესებულებაა, რომლის გაცნობა დიდ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცის მისი არსებობა. ამას უნდა მიექცეს ყურადღება ადგილკომების მიერ.

თბილისის ალმასკომის შემოსავალ-გასავლის სალაროს ადგილკომთან არსებულ კულტურულ-კომისიამ გადასწყვიტა მთელი რიგი ექსკურსიების მოწყობა თბილისშივე მეცნიერული მიზნით. ერთი ასეთი ექსკურსია უკვე მოაწყო ა. წ. 23 აგვისტოს თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში თანამშრომლები გაეცნენ ობსერვატორიის სეისმიურ, ასტრონომიულ და მეტეოროლოგიურ დარგების ყველა აპარატებს და მის დანიშნულებას. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ობსერვატორიის დამკვირვებელი ამხ. ჩახნაშვილი. მოხსენება გაგრძელდა 3 საათს და მეტად შინაარსიანი იყო.

ყველა თანამშრომლები კმაყოფილნი დარჩნენ ამ ექსკურსიით.

დიდი მადლობის ღირსია ამხ. ჩახნაშვილი, რომელმაც ამ საქმისათვის არ დაზოგა არც ცოდნა და არც ენერგია.

მუშკორი მხილველი.

რკინისგზელებში

ა/კ. რკ. გზის დელეგატის საყურადღებოდ.

1. დელეგატი არის კავშირის წარმომადგენელი ცეხში, კანტორაში და სხვ.
2. ყველა საკავშირო კითხვების გამოსარკვევათ კავშირის თავდაპირველათ უნდა მიმართონ დელეგატს, რომელიც უადვილებს წევრებს ადგილკომთან დაკავშირებას.
3. დელეგატი მოვალეა კარგათ გაეცნოს სამ ძირითად დოკუმენტს, რომელიც საჭირონი არიან მის ყოველდღიურ მუშაობაში: კოლექტიურ ხელშეკრულებას, კავშირის წესდებას და შრომის კანონთა კოდექსს.
4. დელეგატი მოვალეა შეეცადოს შეიძინოს ეს გამოცემები თავის სარგებლობისათვის, რომ შეძლება ჰქონდეს გაეცნოს მათში მოთავსებულ წესებს.
5. დელეგატი მოვალეა იკითხოს საკავშირო გაზეთი და იღებდეს აქტიურმონაწილეობას როგორც ახალი ხელის მომწერლების მიზიდვაში, აგრეთვე მის გავრცელებაში კავშირის წევრთა შორის.
6. დელეგატი მოვალეა კარგათ იცოდეს, სად უნდა მიგზავნოს კავშირის წევრი მისი თხოვნით, რომ უკანასკნელმა არ იაროს ერთ თანამდებობის პირისაგან მეორესთან, დროსა და ენერგიის უნაყოფოთ დაკარგვით.
7. დელეგატი მოვალეა თითონ მოაგროვოს საჩივრები და განცხადებები კავშირის წევრებისაგან და გადასცეს ადგილკომში: ამასთან ერთად უნდა თავის მხრივ მიიღოს ზომები საქმის ყველა გარემოების ადგილობრივ გამოსარკვევად.
8. დელეგატი თვალყურს ადევნებს, რომ ყველა კავშირის წევრმა თავის დროზე შეიტანოს კავშირში საკავშირო გადასახადი.
9. მოვალეა მიიზიდოს კავშირის წევრები ურთი-ერთ დამხმარე კასაში.
10. მოვალეა თვალყური ადევნოს შრომის დაცვის კანონების და კოლექტიურ ხელშეკრულების პირობათა შესრულებას.
11. დელეგატ დედაკაცების დელეგატები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდენ დედების შრომის დაცვას და მათ განთავისუფლებას ბავშვის საქვებათ.
12. ახალგაზრდების დელეგატები მოვალენი არიან განსაკუთრებულათ თვალყური ადევნონ, რომ მომუშავე ახალგაზრდები არ იყვნენ გამოყენებულნი მძიმე და მავნე სამუშაოში.
13. დელეგატი განსაკუთრებულათ აქტიური უნდა იყოს კულტურულ მუშაობის განვითარებაში და კერძოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში: თან უნდა მიიზიდონ კავშირის წევრები კლუბებში, წრეებში და სკოლებში.
14. დელეგატებს კარგათ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ აწევთ მნიშვნელოვანი საქმე: მასის და კავშირის შეკავშირებისა.
15. ამ მიზნის განსახორციელებლათ დელეგატი მოვალეა განუწყვეტლათ აცნოს ხოლმე თავის ცეხის კავშირის წევრებს ადგილკომის მუშაობის შესახებ.
16. დელეგატებს კარგათ უნდა ახსოვდეთ, რომ იგინი არიან კავშირის დადგენილებების გამტარებელნი მასაში; რომ ისინი უნდა ეხმარებოდენ თვითეულ კავშირის წევრს იქცეს ორგანიზაციის ხსენებულ მონაწილეთ.
17. დელეგატები უნდა წარმოადგენდენ მაგალითს როგორც დისციპლინისა და ამხანაგურ მოპყრობის მატარებელნი.

ადგილკომი.

ხაშურის საყუდის რონოდების ცეხი

ხაშურის საყუდის სარონოდო ცეხის მუშები გარედ, ღია ჰაერზე, მუშაობენ ზამთარ-ზაფხულ თვეების და წლის განმავლობაში.

წარსულში და ეხლაც დღეს ხვალობით კვებავდენ მუშებს თავიანთ დაპირებებით—ფარდულის აგების შესახებ; მაგრამ ყოველნაირი დაპირება მარტო დაპირებად რჩებოდა.

ჩვენმა ადმინისტრაციამ ყველაფერი რომ დაივიწყოს, ერთი რამ მაინც უნდა ახსოვდეს: ეს ის, რომ მთელ ამიერ-კავკასიის რკ. გზის ხაზზე, გარდა თბილისისა, ერთ-ერთი სახელოსნოში იმდენი საქმე არსად კეთდება რამდენიც ხაშურის სარონოდო ცეხში. ჩვენ აქ მოვიყვანთ ცნობას. თუ რა კეთდება და ვინ აკეთებს მას, ჩვენ ვლაპარაკობთ რონოდების შეკეთების გარშემო.

რკინის გზასთან ახლოს მდგომმა პირებმა კარგად იციან, რომ დღეს რონოდეპი საშინლად დაზიანებული არიან ხანგრძლივი შეუკეთებლობის გამო. ასეთების შეკეთებას სჭირდება გაათკეცებული ენერგია, რომ შეივსოს ყოველივე დანაკლისი. აი ცნობები, რომელიც ერთ თვიურ მუშაობის ანგარიშს შეიცავს:

1) განახლებულია ერთი სახალხო რონოდა.

2) წლიური სახალხო რონოდეებიდან შეკეთებული 9 რონოდა.

3) საბარგო განახლებით შეკეთებულია 2-ვე.

4) საკონვენციო ანუ სამწლიანი შეკეთებულია 24 რონოდა.

5) მეორე შეკეთებიდან 281 რონოდა.

სულ 317 რონოდა.

ამაზე მომუშავეთა რიცხვი.

1) ზეინკალი და მათი თანაშემწე 18 კაცი.

2) დურგლები 15 კაცი.

3) მეთუნუქენი 3 კაცი.

4) მღებარნი 12 კაცი.

სულ 48 კაცი.

ზემო ნაჩვენები საქმე კეთდება გარედ, სრულიად ღია ჰაერზედ, მზიან, წვიმიან, თოვლიან დღეებში. ჩვენის აზრით, სანამ დაგვიანებული არ არის, უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ამ გარემოებას, რათა გაუკეთდეს ხაშურის საყუდის სარონოდო ცეხს ფარდული და ქვის იატაკი თავიდან ბოლომდე, რომ მით შეუნარჩუნოთ მუშებს ჯანმრთელობა, რათა მუშებმა თავშესაფარი სხვაგან აღარ ეძებონ უამინდობის დროს და მათ იმუშაონ ხელშეუშლელად და დროს დაუკარგავად.

სანიტარული მდგომარეობა

სადაც მუშაობა სწარმოებს, იქ ყველანაირ სიბინძურეს აქვს ადგილი. აქა- იქ შეხვდებით პატარ-პატარა ჩაუვითლებულ ჭაობებსაც კი.

მუშები, როდესაც ხედავენ სამუშაოზე ტალახს, იძულებულნი ხდებიან სამასალო ფიცრები ჩაყარონ, რათა გაიმშრალონ მით სამუშაო ადგილი.

მათ უხდებათ ტალახში და წვიმებში მუშაობა. ასეთი საქმის წარმოება თავისთავად ცხადია, დიდ ზიანს აყენებს როგორც მუშებს, აგრეთვე წარმოებას.

განმეორებით მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ იყოს აგებული სარონოდო ცეხის ფარდული ქვის იატაკით.

დიდი საყვედურის ღირსნი არიან მე-5-თე უბნის ლიანდაგის მე-3-ე უბნის საყუდის უფროსები.

მუშა ძიძია პეტრე.

სადგურია თუ საძოვარი მინდორი

სადგურ მცხეთაში, ლიანდაგზე ხშირად შეხვდებით ოთხფეხ საქონელს, რომელიც დიდ უსუფთაობას ჰქმნის იქ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, აქ უფრო სამწუხაროა ის, რომ იქ არ გაივლის ისეთი მატარებელი, რომ ხსენებულ სადგურის მიახლოებისას არ შეჩერდეს იქ მყოფ საქონლის გამო.

საჭიროა ცოტა გამოღვიძება სადგურის უფროსის. საქონელს ლიანდაგზე რაღა უნდა.

მუშკორი მგზავრი.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **დასასვენებელ სახლებში.** თბ. საუბნო პროფკავშირმა დასასვენებელ სახლებში გადაგზავნა კიდევ 10 მუშა რკინისგზელი.

— **ქიმიური ლაბორატორია.** სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბანმა მოაწყო ქიმიური ლაბორატორია.

— **აბანოს შეკეთება.** დასრულდა მეექვსე უბნის მუშებისათვის აბანოს შეკეთების საქმე.

— **საშეფო სოფელში.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა საშეფო კომისია მიემგზავრება საშეფო სოფ. ხიდისთავში საღამო-წარმოდგენის გასამართად.

— **ჩვენი მუშები გლეხებს წყალსადენს უგებენ.** სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის საშეფო კომისია აწყობს სოფ. კავთისხევში წყალსადენს, რომელსაც სათავე 1 ნახევარ ვერსით დაცილებული აქვს სოფელზე.

— **ქართული ენის კურსები.** თბ. კვანძის საექიმო დარგის საუბნო კომიტეტი ხსნის ქართული ენის შემსწავლელ კურსებს რკ. გზ. საავადმყოფოსთან.

— **საშეფო სოფელში.** მეექვსე უბნის მუშების საშეფო კომისია, ამავე მუშების დრამატიულ წრესთან ერთად, 31 აგვისტოს მიემგზავრება თავის საშეფო სოფ. კავთის-ხევში საღამო წარმოდგენის მოსაწყობად ადგილობრივ გლეხებისათვის.

მღვდლებმა ნიღაბი ჩამოიხადეს

დაბა ჩხარი (შორაპნის მაზრა)

16 აგვისტოს მოხდა ჩხარის რაიონის მღვდელ-მედავითნეთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 15 მღვდელი და 12 მედავითნე. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მღვდ. დავით სალაძე, მდივნათ ვ. შეყრილაძე. დღის წესრიგში იყო დასმული 8 ივნისის გაზ. „კომუნისტი“-ს მე 130 ნომერში გამოქვეყნებული განმარტება. საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიწის კოდექსის მე-9 და 82 მუხ. შეფარდების შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ბ. სახელაშვილი, რომელიც ვრცლად აცნობს კრებას 1921 წლის აპრილის 6 თარიღით № 17-ში გამოცემულ დებულებას მიწადმოწყობის შესახებ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ს. ს. ს. რ. ალმასრულებელი კომიტეტის განმარტება მიწის კოდექსის მე-9 და 82 მუხლის შეფარდების შესახებ ვადგენთ: ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი მღვდლები და მედავითნენი დღეის რიცხვიდან ვსტოვებთ ყოველგვარ მღვდელთ-მოქმედებას, როგორც ცრუმორწმუნოებას, ვიხდით ანაფორას და ვიპარსებით ორი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ ვრჩებით ნამდვილ მოქალაქეებათ. ვიწყებთ საზოგადოებრივ შრომას და საკუთარი შრომით ვირჩენთ ჩვენს თავს.“

ამასთანავე მოუწოდებთ ყველა მოქალაქეებს, რომ მათაც დასტოვონ ცრუმორწმუნოებისადმი რწმენა და გაყვენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაჩვენებ სწორ გზას, რომელიც მიგვიყვანს მშრომელთა სრულ განთავისუფლებამდე. ხელი მოაწერეს: სიმონ კაპანაძე, მელიტონ რიყამაძე, ვარლამ შეყრილაძე, დავით სალაძე, სევარიან აბესაძე, ისიდორე შეყრილაძე, ისიდორე ქოჩიაშვილი, ილარიონ მაჩიტაძე, ისიდორე კროში, კონსტანტინე ამირანაშვილი, ივანე მეფარიძე, პარმენ აბესაძე, თერაპონტისტე მაჩიტაძე, პორფირე კუპატაძე, ისონ აბესაძე, ნიკოლოზ მხეიძე, გალაქტიონ ცქიფურიშვილი, ივანე ბარბაქაძე, ისიდორე ქოჩიაშვილი, სპირიდონ ღიბრაძე, რაჟდენ სალაძე, მანუილ ფანჩულიძე, სიმონ ჩიქვილაძე, ეპიფანე გაბრიჭიძე და იოსებ კუტივაძე. თავი შეიკავა და ხელი არ მოაწერა ერთმა მღვდელმა კოწია გაბადაძემ.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ერთმა მღვდელმა სახელდობრ ისიდორე ქოჩიაშვილმა საჯაროდ განაცხადა: „თუ ვიყავი მღვდელი იმიტომ, რომ კუჭი გამომეძღო და ცოლშვილი მერჩინა“.

ბ. სიმონგულოვი.

გამოჩინებულის რაიონი

26 ივლისს თემის ახ. კ. კავშირიდან გამოყოფილ სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქნა საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა შემდეგი პიესები: „მეორე კაცი“, „პუანკარე კაბინეტში“, „საკურთხი მღვდლისა თუ მიცვალებულის“, წარმოდგენა მწყობრად იქნა ჩატარებული, წარმოდგენის ჩატარებამ მასაზე დიდი გავლენა მოახდინა.

წარმოდგენამ ადგილობრივ ნიგორზლევის მომავალ სამკითხველოსათვის დაგვიტოვა წმინდა შემოსავალი 122 მან. 90 კაპ. ვინაიდან ნიგორზლევის ახლად მოწყობილი სამკითხველო ჯერ-ჯერობით ღარიბი არის ჟურნალ-გაზეთებით, ვთხოვთ მკითხველ საზოგადოებას გაიღონ წვლილი და მოაწოდონ ჩვენს ღარიბს სამკითხველოს ასეთები. მადლობა საღამოს მომწყობ კომისიას და სცენის მოყვარეებს.

რაფ. საკეტიესპირელი.

სოფ. ჩოჩხათი (ოზურგეთის მაზრა)

ჩოჩხათის თემი იმყოფება გურიის დასავლეთ ნაწილში. სიდიდით ეს სოფელი არ ჩამოუვარდება ზოგიერთ ვეებერთელა თემებს და მცხოვრებიც აქ მჭიდროთ არიან დასახლებული. გასაბჭოების დროიდან აქ სისტემატიურად და ენერგიული შრომით ეტანებიან სწავლა-განათლებას და კულტურულ მუშაობას სხვა და სხვა საალმშენებლო საქმეებში. ამ თემში ცენტრალურ ადგილას 1921 წლიდან არსებობს 7 წლიანი შრომის სკოლა, რომელიც საშუალებას აძლევს გლეხების შვილებს არ ჩამორჩენ სწავლის პირველ საფეხურს. აგრეთვე 6 ადგილას აქ გახსნილია 4 წლიანი შრომის სკოლები. აგებულია ყველა კუთხეებში ქოხ-სამკითხველოები, რასაკვირველია საკუთარ შენობებში, სადაც მუდმივათ მოდის ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც ძლიერ ეტანებიან და კითხულობენ სოფლის გლეხები და ახალგაზრდობა.

ეკლესიის შენობა საზოგადოებამ გადააკეთა სახალხო სახლათ (თეატრი). კომპარტიის იაჩეიკის ენერგიული და აქტიური შრომის მაგალითით სოფლის გლეხობა აღფრთოვანებით, ეგებება საერთო საალმშენებლო საქმეებს და დიდ უნარიანობას იჩენენ.

ჩოჩხათის თემის საზოგადოება დიდ მადლობას უცხადებს ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. კ. ხომერიკს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია საერთო გაღებული თანხით ჩვენ სახალხო სახლს. საბჭოთა მთავრობა თავისი დაუღალავი შრომით და აქტივობით ხელს უწყობს აღმშენებლობითისა და კულტურულ საქმიანობაში მუშათა კლასს. ჩოჩხათის თემში ხდება ყოველივე ეს გასაბჭოებიდან; მაგალითად, მოხდა შეკეთება ყველა ძველი გზების და გაყვანილია აგრეთვე ახალი გზა, რომელიც მიიმართება ოზურგეთისაკენ.

შალ. კალანდარიშვილი.

სადგურ იორის მუშაკთა შორის

(გარე-კახეთი)

19 აგვისტოს შესდგა სადგურ იორის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება ამხ. ტურაშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ; 2) 1-ლი სასტატოს მდგომარეობის შესახებ; 3) საჰაერო ფლოტის შესახებ; 4) სად. იორის მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირის შესახებ. საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ტურაშვილმა, რომელმაც ნათლად და გარკვეულად აუხსნა დამსწრეთ საერთაშორისო მდგომარეობა, მოხსენება იყო შინაარსიანი. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც კმაყოფილებას გამოსთქვამს საბჭოთა მთავრობის მოქმედებით და მომავალშიაც უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

1-ლი სასტატოს მუშაობის შესახებ მომხსენებელი იყო იგივე ტურაშვილი. მიიღეს რეზოლიუცია, რომ მომავალში საჭიროა მიექცეს ყურადღება, რათა იქნეს მიწოდებული თავის დროზე ყოველივე მასალა და ჩვენ მუშები უფრო ენერგიულად ვიმუშავებთ და შევასრულებთ ჩვენზედ დაკისრებულ საქმეს.

საჰაერო ფლოტის შესახებ კრებამ ერთხმად დაადგინა დაევალოს იმ ამხანაგებს, რომლებიც არიან არჩეულნი საჰაერო ფლოტის იაჩეიკის გამგეობაში, უფრო ენერგიულად აწარმოვონ მუშაობა. ჯამაგირის შესახებ კრებამ ერთხმად დაადგინა ეთხოვოს საუბნო პროფკავშირს, რათა ჯამაგირი სად. იორის მუშა-მოსამსახურეებს მოგვეცეს ისე, როგორც ქალაქის მუშა-მოსამსახურეები ღებულობენ.

ა. ლვანერია.

სწავლა-განათლების საქმე გურიაში

ყველასათვის ცხადია, რომ სკოლების სიმრავლის და საერთოდ კულტურის მხრივ გურიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს რესპუბლიკაში. ვერ ნახავთ ვერც ერთს სოფელს, სადაც არ არსებობდეს სკოლა, წიგნთსაცავ-სამკითხველო, კოოპერატიული ამხანაგობა და სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი. წარსულ წლებთან შედარებით, სკოლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ტიპების მიხედვით მაზრაში არსებული სკოლების რიცხვი შემდეგში გამოიხატება: 103 ოთხწლიანი შრ. სკოლა, 36 შვიდწლიანი შრომის სკოლა, 5 პროფსკოლა, 3 ტეხნიკუმი, 3 ცხრაწლედი და 3 სამეურნეო სკოლა. საჭიროა ამ უკანასკნელთა ტიპის გავრცელებას მიექცეოდეს მეტი ყურადღება. ოზურგეთის მაზრაში განზრახულია კიდევ სამი სამეურნეო სკოლის გახსნა: თვით ოზურგეთში, ლანჩხუთში და სოფ. კოხნარში (ჩოხატაურის რაიონი) უკანასკნელ ადგილას კიდეც დაიწყო სკოლამ მოქმედება. საჭიროა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას ხსენებულ სკოლების გაძლიერებას.

მიმდინარე წლის 1-ლ ივლისიდან ოზურგეთში გაიხსნა გამოფენა გურიის შრომის სკოლებში მოწაფეთაგან დამზადებულ ხელგარჯილობის ნიმუშებისა. წარმოდგენილი ნაშრომები მრავალფეროვანი და საინტერესოა. როგორც სჩანს წარსულ წლის დასაწყისში მაზრაში მასწავლებელთათვის გამართულ კონფერენციებს უნაყოფოთ არ ჩაუვლია; ამას მოწმობს გურიის სკოლების ცხოვრებაში პირველად მოწყობილი დღევანდელი შინაარსიანი გამოფენა.

ინსტრუქტორი ნ—დი.

პროვინციის ქრონიკა

— **კულტგანმანათლებელი მუშაობა სამეგრელოში.** ამჟამად სამეგრელოში სხვადასხვა ადგილას არსებობს 8 თეატრი, 40 წიგნთ-საცავი სამკითხველო, თითქმის ყველა ეკლესიები გადაკეთებულია კლუბებათ.

— **წნორის ჭაობების ამოშრობა.** ცეკავშირის სიღნაღის განყოფილებამ გადასწყვიტა დაჩქარებით შეუდგეს წნორის (ქიზიყი) ახლო-მახლო ჭაობების ამოსაშრობათ, მცხოვრებლების დახმარებით.

— **დუშეთის გლეხკომების ფონდი** ამჟამად უდრის 5000 მ.

— **ანაფორას იხდიან.** დუშეთის სამაზრო აღმასკომში მღვდელმა შიო თურქაძემ შეიტანა განცხადება ანაფორის გახდის შესახებ და ითხოვა მასწავლებლობა.

— **წყალსადენი სოფლად.** სოფ. აწყურის (თელავის მაზრა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ადგილობრივ გამოიყვანონ „ტაფის ხევის“ წყარო.

— **მერძეობის კურსები.** დუშეთის სამაზრო ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწ.-მოქ. კომისარიატის წინაშე მერძეობის კურსების საჭიროებისათვის თანხისა და სეპერატორების გადაცემის შესახებ.

— **მცხეთის რაიაღმასკომის გადატანა.** მცხეთის რაიაღმასკომი გადატანილი იქნება ამ დღეებში სოფ. მცხეთიდან სოფ. ნატახტარში.

— **სიღნაღის საბავშვო ბაღი.** ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა შეაკეთოს საბავშვო ბაღი და შეიძინოს საჭირო აეჯეულობა.

— **საქონლის ჭირი.** თელავის მაზრაში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. განსაკუთრებით ჭირი მძვინვარებს სოფელ ურიათუბანსა და შაშიანში.

— **საბავშვო სახლი წაღვერში.** თბ. განათლების განყოფილების განკარგულებაში მყოფი წაღვერის სახლის შეკეთება უკვე დაამთავრა თბ კეთილ-მოწყობის განყოფილებამ.

— **ხიდის აგება.** ადგილობრივმა აღმასკომმა სოფ. თვიში და ოხვამ შორის (ქუთ. მაზრა) მდ. რიონზე ააგო ხიდი.

— **გორის აღსადგენად.** ბორჯომის პარტკომიტეტმა შეადგინა კომისია გორის აღსადგენად კვირეულის ჩასატარებლად.

— **გლეხთა სახლი ბორჩალოში.** ბორჩალოს სამაზრო გლეხკომმა ადგილობრივ გლეხთა სახლის საჭიროებისათვის გადასდო 6,000 მანეთი.

— **სამუშაო ინვალიდებისათვის და უპატრონო ბავშვებისათვის.** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა მოაწყო კარტონების ყუთების სახელოსნო, სადაც განსაკუთრებით მუშაობენ ინვალიდები და უპატრონო ბავშვები.

წერილი რედაქციის მიმართ

საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ ჟურნალ „კავკასიონის“ აგენტად მე არ ვყოფილვარ. ხსენებულ ჟურნალის ხელის მომწერლებმა უნდა მიმართონ მწერალთა კავშირს (სერგიევის ქ. № 13, ხელოვნების სასახლე) ყოველივე საკითხის გამოსარკვევად.

თომა ჩიქვანაია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საბჭოთა-პარტიულ გამომცემლობათა ცენტრალურ ბიუროს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, 1924 წლის 15 ოქტომბერს მოწვეული იქნება მოსკოვში საბჭოთა-პარტიულ გამომცემლობათა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1. ცენტრალურ ბიუროს მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ.
2. დებულება საბჭოთა-პარტიულ გამომცემლობათა ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუროების შესახებ.
3. წიგნებით ვაჭრობის გაერთიანება.
4. კალკულიაცია, ფასების პოლიტიკა წიგნებით ვაჭრობის პოლიტიკის პრინციპები.
5. კოოპერაცია და წიგნებით ვაჭრობა.
6. კრედიტების და ფინანსების მიწოდება გამომცემლობათათვის.
7. საგამომცემლო ბანკის შესახებ.
8. სტამბის გადაკეთება.
9. ქაღალდის მიწოდება გამომცემლობათათვის.
10. გამომცემლობის რაიონებად დაყოფის შესახებ.
11. საავტორო-საგამომცემლო უფლებათა უზრუნველყოფა.
12. ბრძოლა კერძო გამომცემლობათა წინააღმდეგ.
13. სოციალური დაზღვევის და სხვა ხარჯების ერთიანი რაოდენობა.
14. საგამომცემლო საქმისათვის კვალიფიციურ მუშების მომზადების და წიგნების ტეხნიკუმის შესახებ.
15. ცენტრალურ ბიუროში შესატან გადასახადის რაოდენობა და მისი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება მომავალი წლისათვის.
16. ცენტრალურ ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
17. მიმდინარე საქმეები.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებული საბჭოთა-პარტიულ გამომცემლობათა ამიერ-კავკასიის ბიუროს პრეზიდიუმი სთხოვს ამიერ-კავკასიის ყველა გამომცემლობებს წარმოადგინონ სათანადო მასალები და შესწორებები დღის წესრიგში.

საბჭ. პარტიულ გამომცემლობათა ამიერ-კავკასიის ბიუროს პრეზიდიუმი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 27 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, წითელ-არმიელთა კლუბის შენობაში შესდგება სადელეგატო კრება ქალთა ორგანიზატორების და დიასახლისების მონაწილეობით.

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალების, ქალთა ორგანიზატორების და დიასახლისების გამოცხადება.

მდივანი: მაშკევიჩი.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 27 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება **ქალაქის რაიონის სადელეგატო კრება** ბიუროების, იაჩეიკების მდივანთა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა თანდასწრებით.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი. გ. სტურუა.

— პარასკევს, 29 აგვისტოს დილის 9 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ. საპროპ. განყოფილებაში შესდგება.

ქიმიურ მრეწველობის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტ. სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგე—პენიაკოვი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილება იუწყება, რომ ლენინის ბიბლიოთეკისათვის მიღებულია დამატებითი წიგნები.

მიღება შეიძლება საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ბინაზე. (რუსთაველის პროსპ. № 22), იქვე სწარმოებს შემდეგი ხელისმოწერა ნაწილ-ნაწილად გადახდით 6 თვის განმავლობაში.

თბ. კომიტ. სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება.

— ხუთშაბათს, 28 აგვისტოს დილის 9 საათზე საქ. კომპარტიის თბ. კომიტეტის სააგიტ-საპროპ. განყოფილებაში შესდგება **საშეფო ბიუროს სხდომა.** ყველა წევრთათვის დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგე—პენიაკოვი.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი და საქ. პროფკავშირთა საბჭო იუწყებიან, რომ დღეს, 27 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის საზაფხულო შენობაში გაიხსნება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის და არსენალის რაიონის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრთა კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ხელფასის პოლიტიკის შესახებ.

2) ამხ. ერისთავის მოხსენება.

შემფასებელ-საკონფ. კომისიის და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. მოწვეული არიან პარტიის წევრები და კანდიდატები.

მდივანი მაშკევიჩი.

განცხადებები

მარიამი ილიას ასული და სიმონ გრიგოლის ძე წერეთლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 25 აგვისტოს გარდაიცვალა მათი, ერთად ერთი საყვარელი შვილი

პატარა ეთიკო

დაკრძალვა მოხდება 27 აგვისტოს საღამოს 5 ნახ. საათზე ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან. (მატინოვის ქ., № 1).

1—1 ქვ. 1.824

მარიამ კონსტანტინეს ასული და ზურაბ გრიგოლის ძე წერეთლები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობთ პირველი მაზლის წულის, ხოლო მეორე ძმის წულის ძვირფას და დაუვიწყარ

პატარა ეთიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. 1—1 ქვ. 1.824

ღრმად დამწუხრებულნი ნადეჟდა ივანეს ასული და გრიგოლ ზურაბისძე წერეთლები შვილებით და სიძეებითურთ, თამარა ივანეს ასული და ალექსანდრე ზურაბის ძე წერეთლები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს შვილის შვილის

პატარა ეთიკოს

უდროოდ გარდაცვალებას.

გამოსვენება 27 აგვისტოს საღამოს 5 ნახ. საათზე (მატინოვის ქუჩიდან № 1) ვერის სასაფლაოზე. 1—1 ქვ. № 1.824

ნინო იოსების ასული ნაკაშიძე, ელისაბედ იოსების ასული და დიომიდე ანთაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 25 აგვისტოს გარდაიცვალა მათი საყვარელი, დაუვიწყარი

პატარა ეთიკო წერეთელი

დაკრძალვა 27 აგვისტოს ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გამოსვენება საღამოს 5 ნახ. საათზე საკუთარი ბინიდან (მატინოვის ქუჩა № 1.)

1—1 ქვ. 1.824

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის თანამშრომლები იტყობინებიან ყველასათვის საყვარელი ამხანაგის

ოლია სუხიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვის შესახებ.

დამწუხრებულნი მშობლები: პავლე და მარიამი, ძმები ლადო, გიორგი და ალექსი, რძლები: თამარი, კატო და ნინა სუხიშვილები აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 25 აგვისტოს ტრაღიკულათ დაიღუპა

ოლია სუხიშვილი

გამოსვენება 27 აგვისტოს დღის სამ საათზე ლენინგრადის ქუჩიდან № 1. 2—2

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს „მცხეთის გზატკეცილის ხიდის გადაკეთების პროექტის“ კონკურსში მონაწილეობის მიმღებთ პირთა საყურადღებოდ, რომ თანახმად ჟიურის გადაწყვეტილებისა, რომელიც გამოცხადებული იყო ა. წ. 15 ივნისს და ზაჰესკომის დადგენილებისა ა. წ. 20 აგვისტოდან გადაწყვეტილია კონკურსზე წარმოდგენილ პროექტთაგან შეძენილ იქნეს გამოცხადებული კონკურსის პირობების მე-26-ე პარაგრაფის მიხედვით [illegible] ფასად 2 პროექტი: № 1-დევიზით: „ახალი ხიდი ძველ მცხეთას“ და № 4-დევიზით: „ოთხი არე ტოლსწორში“.

ამ პროექტების ავტორებს ვსთხოვთ შემოიარონ სამუშაოთა სამმართველოში ერთი კვირის განმავლობაში სათანადო პაკეტების გასახსნელად და პროექტების შეძენის საკითხის ფორმალურად მოსაგვარებლად.

კონკურსის დანარჩენ მონაწილე პირთ შეუძლიათ თავიანთი პროექტები მიიღონ უკან ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველდღე დილის 9—11 საათამდე (მიმართ. ამხ. ცინცაძეს), სადაც წარდგენილი უნდა იქნეს თავის დროზე გაცემული სათანადო ხელწერილები.

1—1 ნ. № 1.453 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე.

ექიმ სოკლეტის, გამერტენ შმიდტის და ბილის
კეფირი
გამოკვლევათა მიხედვით და პრიერ იერუსალიმსკის და მენშელის ცდების თანახმად
ლუწეს ყოფს წონაში მატებას, ითვლება საუკეთესო საშუალებად სისხლნაკლულოვანების, კუჭის კატარის, ფილტვის ტუბერკულიოზის და საერთო სისუსტის დროს
მიმართეთ თქვენს ექიმს და ის დაგინიშნავთ კეფირის როგორი ნორმა უნდა დალიოთ თქვენი ჯანმრთელობის აღსადგენად.
მისამართი· ლორის-მელიქოვის ქ. № 6 ი. კორონას ლაბორატორია.
კავშირის წევრებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღავათი
განყოფილება ფუნიკულიორზე და აბასთუმანში
10—10 ნ. 1351

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით
ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 25—1

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი, გულისა და პლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და კიბოს წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. სად. ბებუთოვის ქუჩა № 23.
1562 13—4

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის მილიციის უფროსისაგან და მეტრიკული ამონაწერი მოცემული განჯის მაზრიდან სარქის გრიგორის ძე პეტრუსოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის მანდატი არმენაკ იაშალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე ლომბარდის მოწმობა № 3.049 ნინა მათიაშვილის სახელზე ჩაით. გაუქმებულად. 1—1

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 1.535 გაცემული მმაჩის მიერ 1923 წელს შალვა შალიკიანის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე მედიკო სასანიტარო კავშირის წიგნაკი ფედო სილბისტროს ასულმა დავითაიამ. ჩაითვალოს გაუქმებულათ 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი ვახტანგ გრიგოლის ძე ბ ისურაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დაკარგე საწევრო წიგნაკი მოცემული სახ. გამომკვებ კავშირისაგან № 1204 და პირადობის მოწმობა ვასილი ნიკოლოზის ძე დალიანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე უმუშევრობის წიგნაკი № 657, გაცემული რკინის გზის შრომის ბირჟის მიერ ანიკო წულაია სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

ტირაჟი—13,500 სტამბა „ზარია ვოსტოკა“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.